№ 77
(11 329)
5–7 ოქტომბერი, 1999 წ.
ფასი 40 თეთრი
გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



კალათბურთი ● ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი

# ზოგიერთი გუნდი, უფულობის გამო მატჩებს ავანსად აგარებს

კალათბურთში IX ეროვნული ჩემპიონატი, სპორტის სხვა სახეობებისგან განსხვავებით, ბევრ სიახლეს გვპირდება, რამაც საბოლოო ჯამში ხელი უნდა შეუწყოს ქვეყანაში სპორტის ამ სახეობის პოპულარობას და, რაც მთავარია, ოსტატობის დონის ამაღლებას და, შესაბამისად, ეროვნული ნაკრების გაძლიერებას. ფედერაცია ოპტიმისტურადაა განწყობილი. პირველი შედეგი აშკარაა — ამ ჩემპიონატში 12 საკალათბურთო კოლექტივი ჩაება. ეს რიცხვი შეიძლებოდა 13-მდე გაზრდილიყო, მაგრამ სამედიცინო აკადემიას უარი ეთქვა ჩემპიონატში მონაწილეობაზე. დებიუტანტთაგან კი ყველაზე ძვირფას შენაძენად მიიჩნევენ ბათუმის გუნდს. თუ გავითვალისწინებთ სპორტისადმი აჭარის ხელმძღვანელობის ყურადღებას და „ხელგაშლილობას“, სავარაუდოა, წლევანდელ ჩემპიონატში ღირსეული მეტოქე გამოუჩნდეთ აღიარებულ ლიდერებს. მით უმეტეს, ბათუმში თავი მოიყარეს მართლაც ძლიერმა კალათბურთელებმა. აქვე უნდა ითქვას ერთ მეტად მნიშვნელოვან ფაქტზე — კალათბურთი (ჩემპიონატის მატჩებს ვგულისხმობთ) ბოლოს და ბოლოს თბილისიდანაც საფუძვლიანად გავა და მატჩები გუნდების ქალაქებშიც ჩატარდება, ვისაც ისინი წარმოადგენენ. მაგრამ არის იმის საშიშროება, რომ მონაწილე გუნდების რიცხვი შეიძლება შემცირდეს კიდეც. საქმე იმაშია, რომ ფედერაციამ 3800 ლარი მოსთხოვა ჩემპიონატში მონაწილე კლუბებს. შეძლებს კი ყველა ამ თანხის გადახდას? თუ ვადები არ გადასწიეს, ყველაფერი უკვე 21 ოქტომბერს გახდება ცნობილი. იმ დროს, როცა ბევრ გუნდს, ასე ვთქვათ, ავანსად ექნება რამდენიმე მატჩი ჩატარებული.

*ახლა კი პირველი ტურის მატჩების შესახებ: „მჭაბი“ — „დინამო“ 83:60, სსუ — თსუ 70:107, „შევარდენი“ — სტუ 57:84, „ვითა“ — სდასუ 93:84, ასკ — „აზოტი“ 73:94. შევიტყვეთ, რომ გუნდი, რომელიც თამაშზე 10-ზე ნაკლები მოთამაშით წარსდგება, 300 ლარით დაჯარიმდება. გასაგებია, ეს „ფულის საკეთებლად“ არაა მოგონილი. მაგრამ გვყავს კი საქართველოში ისეთი დონის იმდენი მოთამაშე, რომ უბრალო მათემატიკით 12X10-ზე მივიღოთ?*

საქართველოს XI ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში
VII ტური

## „ა“ ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო (თბ) | 7 | 5 | 0 | 2 | 13-6 | 15 |
| ვიტ ჯორჯია | 7 | 4 | 1 | 2 | 10-5 | 13 |
| დინამო (ბთ) | 7 | 2 | 5 | 0 | 3-1 | 12 |
| თბილისი | 6 | 2 | 3 | I | 13-10 | 9 |
| სიონი | 7 | 2 | 2 | 3 | 4-9 | 8 |
| სამგურალი | 7 | 2 | 1 | 4 | 5-10 | 7 |
| არსენალი | 7 | 1 | 2 | 4 | 6-8 | 5 |
| ლოკომოტივი | 6 | 1 | 2 | 3 | 5-10 | 5 |

## „ბ“ ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 6 | 5 | 1 | 0 | 16-5 | 16 |
| კოლხეთი (ფ) | 7 | 4 | 0 | 3 | 9-11 | 12 |
| დილა | 7 | 3 | 2 | 2 | 10-8 | 11 |
| იბერია | 7 | 2 | 2 | 3 | 5-9 | 8 |
| გორდა | 7 | 2 | 1 | 4 | 6-7 | 7 |
| თსუ | 6 | 1 | 4 | 1 | 4-4 | 7 |
| მერანი | 7 | 1 | 4 | 2 | 8-9 | 7 |
| კოლხეთი (ხ) | 7 | 1 | 2 | 4 | 7-12 | 5 |



დინამო (ბთ.) — არსენალი. ერთადერთი გოლი თბილისელთა კარში ბათუმელმა ამირან მუჯირმა გაიტანა (იხ. მე-3 გვ.)



აბსოლუტური ჩემპიონი ვიტალი ჭამნიაშვილი ასპარეზობისას

# „მერცხლები“ „ლაგუნა ვერეს“ ცაში

სპორტკომპლექს „ლაგუნა ვერეს“ წყალთა სახეობის ოლიმპიური რეზერვის სპორტსკოლამ თავის აღსაზრდელებთან ერთად, თბილისის განათლების სამმართველოს სპორტსკოლის წყალში მხტომელებსაც უხმო ღია პირველობაში მონაწილეობისათვის, სადაც 30-მდე მოზარდი იბრძოდა გამარჯვების მოსაპოვებლად. მასპინძლები, რომლებმაც 3 წელია, რაც „ადგილიდან დაძრეს“ ეს სახეობა, როცა წყლის მაგივრად ბატუტზე ხტომით დაიწყეს „წყალში ხტომა“, ხელცარიელნი არ მოსულან შეჯიბრებაზე. მათ აქტივშია, მართალია, მორიდებული, მაგრამ მაინც საგულისხმო წარმატება, რომელიც წლეულს სკო-

იხ. მე-2 გვ.

ჩოგბურთი თბილისის ღია პირველობა

# თბილისიდან – ბათუმში...

ჩოგბურთში თბილისის ღია პირველობა, „ქართუ“, რომელიც ქალთა საერთაშორისო ტურნირად იქცა და დედაქალაქიდან მონაწილეთა ახალი ტურნირისთვის ბათუმში გადანაცვლება ჩვენი სახელოვანი ჩოგბურთელის ლეილა მესხის სახელს უკავშირდება. მართალია, მსოფლიო ვარსკვლავები არ ჩამოსულან, მაგრამ იმისათვის, რომ კარგად გაგვიცნონ და მსოფლიოს საჩოგბურთო მარაქაში ჩვენც უფრო გამოკვეთილად გავერიოთ, ვფიქრობთ, ასეთი ტურნირები პირდაპირ მისწრებაა. სხვა სიკეთესთან ერთად ეს ტურნირები, რომლებსაც შინ ვატარებთ, კარგი სკოლაა ჩვენი ჩოგბურთელებისთვის, რომლებსაც საზღვარგარეთ გამგზავრების შესაძლებლობები არ გააჩნიათ. მართალია, საპრიზო ფონდი 25 ათასი აშშ დოლარი გამარჯვებულებისა და პრიზიორებისთვის, აგრეთვე მონაწილეთა წახალისებისთვის შთამბეჭდავი არ იყო, მაგრამ ყველაფერი ხომ მართლა ფულით არ იზომება. სტუმრებმა ეგზოტიკური ქვეყნის ხილვით ნაწილობრივ მაინც მოახდინეს „დაკარგული დღეების“ კომპენსაცია. შემადგენლობა რომ საშუალოზე დაბალი იყო, კლასიფიკაციაში მონაწილეთა რეიტინგითაც ჩანდა.

საქართველოს ჩოგბურთელთაგან „ყველაზე შორს წავიდა“ მაკა ჩახნაშვილი, მაგრამ მეოთხედფინალიდან უკვე ყველაფერი თავის ადგილზე დადგა, უძლიერესთა შორის მაკამ ველარ მოიპოვა ასპარეზობის გაგრძელების უფლება, საბოლოოდ პირველობა გაინაღდა გერმანელმა ჯულია აბემ, რომელიც მსოფლიოში 139-ე ჩოგანია და ამ ტურნირში მეორე ნომრად იყო განთესილი. ფინალში მან დაამარცხა პირველ ნომრად განთესილი ბელარუსის წარმომადგენელი ტატიანა პუჩეკი — 6:2, 6:0. გამარჯვებულს 3920 დოლარი ხვდა, დამარცხებულს — 2130.

წყვილთა თანრიგში, ფინალში, რუსეთელებმა მარია გოლოვიზნინა-ეკატერინა პანიუშკინას დუეტმა ასევე 6:2, 6:0 სძლია ეკატერინა სისოევასა და ნადეჟდა ოსტროვსკაიას რუსულ-ბელარუსულ წყვილს.

ახალი საერთაშორისო ტურნირი 3 ოქტომბრიდან ბათუმში დაიწყო. იქ საპრიზო ფონდი 50 ათასი დოლარია.

მამუკა გიორგაძე

# ღვაწლის დაფასება

წარმოიდგინეთ, რა ატმოსფერო დაისადგურებს ირგვლივ, როცა ერთმანეთს ხვდებიან ადამიანები, რომელთაგან უმეტესობამ ნახევარ საუკუნეზე მეტი გაატარა სპორტის სამსახურში. მართალია პირველი სიხარული, რაც მათ განიცადეს ღვაწლის ქვეყნის ორდენებით და სპორტის დამსახურებული მუშაკის წოდების მინიჭებით (გვარები „ლელოში“ ქვეყნდებოდა), კარგა ხნის განცდილი იყო, ახლა ყველას ერთად უხმეს შესაბამისი მოწმობების გადასაცემად. სწორედ ურთიერთხილვამ შექმნა ის თბილი ატმოსფერო, რაზედაც თავში მოგახსენეთ.

მათთან შესახვედრად და მოწმობების გადასაცემად თვით დეპარტამენტის თავმჯდომარე კახი ასათიანი ემზადებოდა, მაგრამ ბოლო ხანებში მისი სამუშაო დღე საფინანსო ორგანიზაციებში იწყება და მთავრდება, რათა სპორტსმენებს ოლიმპიური თამაშების სალიცენზიო შეჯიბრებებზე გამგზავრების შესაძლებლობა მიეცეთ. მოწმობების გადაცემის საპატიო მისია დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ მურთაზ მნათობიშვილმა შეასრულა. შეკრებილთ მან გულთბილად მიულოცა ხანდაზმულთა დღე და „სპორტის დღე“. დაჯილდოებულთა შორის იყვნენ აგრეთვე, საშუალო და ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები.

# ქართული ჭიდაობით დამშვენდა

იმ ასპარეზობებს შორის, რითაც „საქართველოს სპორტის დღე“ აღინიშნა დედაქალაქში, ყველაზე საინტერესო, უდავოდ დიდუბის რაიონის ღია პირველობა იყო ქართულ ჭიდაობაში, რომელიც ამ დღეს მიეძღვნა. ტურნირი აღმოსავლეთ საქართველოს თითქმის ყველა რეგიონიდან უყრის თავს მოჭიდავეებს. მაყურებლებიც კი ითხოვენ სარბიელზე გამოსვლას. ამჯერად ასპარეზობაზე ახალი სახელებიც გამოჩნდა. ეს, პირველ ყოვლისა, დიდუბელ მოჭიდავეზე დათო ქევხიშვილსა და მის თანაგუნდელ ზურაბ დოლონაძეზე, საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტ იაგო ჯავახიშვილზე და ლაგოდეხელ ზაზა მახათაძეზე, კასპელი ზურაბ მუზაშვილზე ითქმის, რომლებმაც გაბედული და მოხდენილი ჭიდაობით მიიზიდეს ყურადღება. სხვათა შორის, ზურაბ მუზაშვილმა სპეციალური პრიზიც დაიმსახურა „ყველაზე სწრაფი გამარჯვებისათვის“ (15 წამი), კასპელ ვახტანგ დავითაშვილს კი ჯილდო ერგო „საუკეთესო ფანდისათვის“ (იყო ასეთი პრიზიც). „საუკეთესო მოჭიდავედ“ კი დიდუბელი ზურაბ დოლონაძე სცნო ჟიურიმ.

* * *

*„საქართველოს სპორტის დღე“ კი ფართოდ აღინიშნა ვაკის პარკში გამართული სხვადასხვა ასპარეზობებით.*

სიდნეი-2000 ● ლიცენზიის მოპოვების კანდიდატები

# ივერი ჯიქურაული (ძიუდო)

*დაიბადა* 1976 წლის 22 მარტს, დუშეთის რაიონის სოფელ არაგვისპირში.
*ზოდიაქო* — ვერძი






*წონა* — 100 კგ, სიმაღლე — 184 სმ.
*სპორტსაზოგადოება* — „დინამო“.
*მწვრთნელები* — შოთა ხერკელაძე, ბიძინა მოხევიშვილი.
*ჭიდაობა* დაიწყო 1987 წელს.
*პირველ* წარმატებას მიაღწია 1987 წელს ქ. ტყიბულში საქართველოს პირველობაზე. უმცროსი ასაკის ჭაბუკთა შორის დაიკავა II ადგილი.
*საუკეთესო შედეგები:* 1993 წ. ჰერცოგეთ ზოში ევროპის ჭაბუკთა ოლიმპიური დღეები — II ადგილი. 1994 წ. ქაირო, მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდებს შორის — II. 1994 წ. ვარშავა, ევროპის ჩემპიონატი — III, 1995 წ. ბირმინგემი, ევროპის ჩემპიონატი — III, 1995 წ. გერმანია, სტუდენტთა მსოფლიო უნივერსიადა — II, 1996 წ. პორტო. მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდებს შორის — III, 1999 წ. პალმა დე მალიორკა, სტუდენტთა მსოფლიო უნივერსიადა — III.
*არის* მრავალი „ა“ კატეგორიის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული და პრიზიორი.
*დაამთავრა* თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის ლეგია და კომპანიის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი.



● ***ივერი, ჭიდაობაში ვარჯიში დაგიწყიათ 1987 წელს და უმალვე საქართველოს პირველობაზე II ადგილი დაგიკავებიათ...***

— ერთი შეხედვით, მართლაც, შეიძლება გაუკვირდეს ვინმეს, მაგრამ საქმე იმაშია, რომ თავიდანვე სკოლაში სწავლისას რომ იტყვიან, ჯანი მერჩოდა, მოურჯულებელი ყმაწვილი ცეკვაზე მიმიყვანეს — ორი წელი ვიცეკვე, მაგრამ გული ვერ დავუდე. თანატოლების ჭიდაობას რომ ვუცქერდი, შინაგანად, ინტუიციით ვგრძნობდი აუცილებლად მოჭიდავე უნდა გამოვსულიყავი. ჩემს სპორტსმენად ჩამოყალიბებაში გარკვეული წვლილი შეიტანეს მამაჩემმა და ბიძაჩემმა. მამაჩემი თავის დროზე კარგი ძალოსანი იყო, ხოლო ბიძაჩემი ჯემალ ჯიქურაული — საქართველოს ერთ-ერთი უძლიერესი მორბენალი გახლდათ, ისინი, ბავშვობიდანვე, თავიანთი შედგენილი მეთოდიკით მწვრთნიდნენ. მახსოვს როგორ მაიძულებდნენ ადრიანად ავმდგარიყავი და ჩვენი სოფლიდან დუშეთამდე 7 კილომეტრი ყოველდღიურად მერბინა. ერთხელაც, 1987 წლის გაზაფხულზე დუშეთში ცნობილ მწვრთნელთან შოთა ხერკელაძესთან მიმიყვანეს და სთხოვეს გამოვეცადე ჭიდაობაში. მწვრთნელმა ჯგუფის რჩეულ შეგირდს დამჭიდა, რომელსაც ტოლი არ დავუდე. მართალია, ილეთები არ ვიცოდი, მაგრამ ძალა და გამძლეობაც მასზე მეტი აღმომაჩნდა. მომავალმა აღმზრდელმა უყოყმანოდ ჩამრიცხა სექციაში და დიდი მომავალიც მიწინასწარმეტყველა. ორი თვის ვარჯიშის შემდეგ ტყიბულში წამიყვანა საქართველოს პირველობაზე საასპარეზოდ და მწვრთნელის იმედიც გავამართლე — II ადგილი მოვიპოვე.

ამ ამბის გახსენებით თქვენდა უნებლიედ, ერთი სასიამოვნო სიურპრიზი შემომთავაზეთ — იმ შეჯიბრების ჩატარების უშუალო ხელმძღვანელი მე გახლდით, როგორც სპორტკომიტეტის სახელმწიფო მწვრთნელი ძიუდოში. ასე რომ, თქვენი პირველი წარმატების თანამონაწილე მეც ვყოფილვარ, რაც ძალზე მეამაყება...

● ***ხშირია შემთხვევა, როცა სპორტსმენი ბავშვობაში გასაოცარ შედეგებს აღწევს, შემდეგ კი დიდ სპორტში არაფერი გამოუდის...***

— ასაკობრივი ბარიერები წარმატებით გადავლახე, ჯერ ჭაბუკთა ოლიმპიურ დღეებზე მეორე ადგილი მოვიპოვე. შემდეგ მსოფლიო ჩემპიონატზე ახალგაზრდებს შორის კვლავ მეორე ვიყავი, ხოლო ევროპის ჩემპიონატზე დიდებში — მესამე. ასე რომ, ამ მხრივ

იხ. მე-2 გვ.

ლარის ოფიციალური კურსი: 1 აშშ დოლარი – 1.8700 ლარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

GEORGIA

1997–1998 წლები

## სეოკ–ის საიუბილეოდ

# 10 დამოუკიდებელი ნაბიჯი ოლიმპიურ მოძრაობაში

ატლანტაში ოლიმპიური თამაშების დამთავრებისთანავე, სეოკ-ი გულდასმით შეუდგა შედეგების ანალიზს უკვე მომავალ ოლიმპიურ ციკლზე ორიენტაციით. ერთგვაროვანი არ იყო თამაშებში წარმატებებს მიჩვეული ჩვენი ხალხის რეაქცია ატლანტაში საქართველოს ათლეტების გამოსვლასთან დაკავშირებით. მართალია, წარუმატებლობას ჰქონდა თავისი ობიექტური და სუბიექტური მიზეზები, მაგრამ გულშემატკივრისთვის ასეთი არგუმენტები, ტრადიციულად მიუღებელია. ის მუდამ მაღალ შედეგებს მოელის, მორჩა და გათავდა! არადა, საოლიმპიადო თადარიგი იმის აჩრდილიც აღარ იყო, რა პირობებშიც ადრე მიმდინარეობდა მზადება ოლიმპიადებისთვის. ძალიანაც რომ მოინდომო, ქვეყანაში როცა დაქცეულია ეკონომიკა, წინ ცხოვრების ვერც ერთი დარგი ვერ წაიწევს, მოშლილ ეკონომიკას ვერც სპორტმა გაუსწრო, ან როგორ უნდა გაესწრო. ამის გაფიქრებაც კი აბსურდია

აი, ამის შემდეგ აქა-იქ ხმებიც კი გაისმა, საერთოდ ღირდა კი 1998 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში დელეგაციის გაგზავნა? თუ ვიტყვით, რომ სოკ-ის 200-ზე მეტი წევრი ქვეყნიდან ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობას მხოლოდ 7-8 ათეული სახელმწიფო ახერხებს, ლიცენზიების მოპოვების შემთხვევაში, მონაწილეობა აუცილებელი იყო და საჭიროც. ამ კურსს მტკიცედ დაადგა სეოკ-ი და სპორტის ზამთრის სახეობათა ფედერაცია, რომლის პრეზიდენტი გოგი თოფაძე ყველაფერს აკეთებდა, რათა ზაფხულშიც კი ავსტრიისა და იტალიის სამთო კურორტებზე უწყვეტლივ ევარჯიშათ ჩვენი ეროვნული ნაკრების წევრებს.

1997 წელს სპორტის ოლიმპიურ სახეობებში, მიუხედავად ქვეყნის ეკონომიკური ჩამორჩენილობისა, ევროპის და მსოფლიო ჩემპიონატებში საქართველოს სპორტსმენებმა ოქროს 5, ვერცხლის 2 და ბრინჯაოს 3 მედალი მოიპოვეს. განსაკუთრებულად უდიდესი სიამაყე მოგვიტანა გიორგი კანდელაკმა, რომელმაც პირველმა ჩვენი ქვეყნიდან მსოფლიო ჩემპიონის წოდება დაიმსახურა კრივში მძიმე წონით კატეგორიაში. გიორგი კანდელაკი სეოკ-მა 1997 წლის საუკეთესო სპორტსმენად დაასახელა.

1997 წელი ევროპის ახალგაზრდობის ზამთრისა და ზაფხულის ოლიმპიური დღეების წელიწადიც იყო. სუნდსვალში (შვედეთი) სამთოთხილამურებსა და ფიგურულ ციგურაობაში ჩვენმა 5-მა სპორტსმენმა იასპარეზა. ქართული სპორტის ისტორიაში ფიგურულ ციგურაობაში ვახტანგ მურვანიძემ პირველმა მოიპოვა თვალსაჩინო წარმატება — მეორე იყო ერთეულთა შეჯიბრებაში. ზამთრის ოლიმპიურ დღეებში სულ 41 ქვეყნის წარმომადგენლები გამოდიოდნენ და XIII ადგილი, რომელიც საქართველოს ხვდა წილად, გარკვეულ წარმატებადაა მიჩნეული.

ზაფხულის ოლიმპიურმა დღეებმა კი ახალი სიხარული მოგვანიჭა — ფეხბურთელთა გუნდმა, რომელსაც ვახტანგ კოპალეიშვილი ამზადებდა ჩემპიონობა მოიპოვა, ხოლო ძიუდოში 1 ვერცხლისა და ბრინჯაოს 2 მედალი გვხვდა წილად. 48 ქვეყანას შორის XX ადგილი — ასეთი იყო საერთო გუნდური შედეგი, რომელიც ჩვენი ქვეყნის 36 წევრიანმა სპორტულმა დელეგაციამ მოიპოვა პორტუგალიის ქალაქ ლისაბონში. შემდეგ იყო ბალკანეთის ქვეყნების პირველი ოლიმპიური დღეები, სადაც ჩვენებიც მიიწვიეს. სოფიაში გამართულ ამ კომპლექსურ სპორტულ ღონისძიებაში 27 სპორტსმენი გამოდიოდა საქართველოდან სპორტის 5 სახეობაში (კალათბურთი, ჩოგბურთი, ცურვა, თავისუფალი ჭიდაობა, მძლეოსნობა). აქ მკაფიოდ გამოჩნდა ჩვენი ახალგაზრდა სპორტსმენების ნიჭიერება და საიმედო პერსპექტივა. სამი მოჭიდავე გამარჯვებული გამოვიდა, ერთიც ბრინჯაოს პრიზიორი გახდა, თითო „ვერცხლი" და „ბრინჯაო" მოიპოვეს მძლეოსნებმა, III ადგილზე გავიდნენ კალათბურთელები და ჩოგბურთელი გოგონები, ვაჟ ჩოგბურთელებს კი IV ადგილი ხვდათ. სულ მოპოვებული 8 მედლით საქართველო VI ადგილზე გავიდა ბალკანეთისა და შავი ზღვის 11 ქვეყანას შორის.

ოლიმპიზმის პროპაგანდამ ახალი მასშტაბი შეიძინა. საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის ძალისხმევით პირველად გამოიცა ნოდარ გუგუშვილის „ოლიმპიური ენციკლოპედია", საქართველოს განათლების სამინისტრომ და სეოკ-მა ერთობლივი კონკურსი ჩაატარეს ოლიმპიურ თემაზე მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის პოპულარული საკითხავი წიგნის შესაქმნელად. კონკურსში გაიმარჯვა პროფესორ ავთანდილ ციბაძისა და დავით კინწურაშვილის ნაშრომმა, რომელიც გამოიცა კიდეც 1998 წელს. საინტერესოდ ჩაიარა აგრეთვე ოლიმპიურ თემაზე ბავშვთა ნახატების კონკურსმა. სამხატვრო გალერეაში გამოიფინა 100-ზე მეტი ნორჩი შემოქმედის ნამუშევარი, რომელთაგან 18 საუკეთესო, ლოზანაში, სოკ-ის მუზეუმში გაიგზავნა საერთაშორისო გამოფენა-კონკურსზე. თბილისის მსგავსად, გამოფენა-კონკურსი ჩაატარა სეოკ-ის იმერეთის სამხარეო ორგანიზაციამ ქ. ქუთაისში. სეოკის ოლიმპიური აკადემიის ფილიალები გაიხსნა თელავში და გორში. უფრო ეფექტური გახდა მუდმივმოქმედი კურსები „ოლიმპიური მოძრაობის წარსული, აწმყო და მომავალი". კონკურსში გამარჯვებული ახალგაზრდები საბერძნეთის ქალაქ ოლიმპიაში მონაწილეობდნენ სიმპოზიუმებსა და სემინარებში.

ეს ის პერიოდია, როცა კიდევ უფრო გაღრმავდა კონტაქტები საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ასეთ ურთიერთობებს მოჰყვა დადებითი პრაქტიკული შედეგები — დაფინანსდა რამდენიმე პროგრამა, სეოკ-მა საჩუქრად მიიღო „მერსედესის" ფირმის მიკროავტობუსი. 1997 წელს სეოკ-ი გაწევრიანდა საერთაშორისო ასოციაციაში „სპორტსმენები ნარკოტიკების წინააღმდეგ".

მომდევნო 1998 წელმა ოლიმპიადებისა და ზემოხსენებული სხვა სპორტული ღონისძიებების ნიშნით ჩაიარა ჩვენთვის ზამთრის პირველ ოლიმპიურ თამაშებთან შედარებით, უკეთეს შედეგებს მივაღწიეთ ნაგანოში. ისტორიაში ჩაიწერა სამთომთხილამურე ზურაბ ჯიჯიშვილის გვარი. ზურაბმა საქართველოდან პირველმა დაიმკვიდრა ადგილი მეორე ათეულში — XIV იყო სწრაფდაშვების სლალომის კომბინაციაში. ზამთრის თამაშების ისტორიაში ასევე პირველად იასპარეზა ქართველმა ქალმა — 16 წლის სოფიკო ახმეტელმა სლალომში. მეორედ მონაწილეობდნენ თამაშებში კახა წაქაძე — ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომაში და ლევან აბრამიშვილი — სლალომში.

**თამაშების შედეგების შემაჯამებელ სეოკ-ის სესიაზე ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტი გოგი თოფაძე იტყვის:** „ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა თავისთავადაა დიდი წარმატება, ეს უფლება ნაგანოში სასპარეზოდ ჩვენმა ოთხმა სპორტსმენმა მოიპოვა. ჩვენი მოკრძალებული პროგნოზები არ სცილდებოდა რეალურ შესაძლებლობებს. ვგეგმავდით პირველ ოცდაათეულში ჩვენი რომელიმე ოლიმპიელის მოხვედრას. ბაკურიანელმა ზურაბ ჯიჯიშვილმა უკეთეს შედეგს — XIV ადგილს მიაღწია, რაც ამ სპორტსმენის ნიჭიერებაზე მეტყველებს. ჩინებულად აიღო სტარტი სოფიკო ახმეტელმა, მაგრამ მას ტრავმა ჯერ კიდევ არ ჰქონდა მოშუშებული და ფინიშამდე რამდენიმე მეტრილა რჩებოდა, როცა შეჯიბრებას გამოეთიშა".

შემდეგ იყო მოსკოვში მსოფლიო ახალგაზრდობის პირველი თამაშები. 131 ქვეყნის 7 ათასმა თანატოლმა მოსინჯა ძალები ამ გრანდიოზულ ასპარეზობაში. ფაქტობრივად ეს იყო მომავალ ოლიმპიელთა დათვალიერება. საქართველოს 85 წარგზავნილმა საკმაოდ შთამბეჭდავი შედეგები აჩვენა — 17 მედალი. აქედან ოქროსი — 2, ვერცხლისა — 4 და ბრინჯაოსი — 11. არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში საქართველო VI ადგილზე გავიდა, რაც უდავოდ თვალსაჩინო შედეგია. ამ თამაშებმა დაადასტურა, რომ გვეზრდება საიმედო რეზერვი, რაც უმძიმეს პირობებში მწვრთნელთა და სპორტსმენთა თავდადებული შრომის შედეგია. და ეს მაშინ, როცა ქვეყანა თავის ბიუჯეტიდან 0,2 პროცენტს უთმობდა საერთოდ ქართულ სპორტს და ისიც მეტწილად ქაღალდზე რჩებოდა.

**ვიქტორ სანეევი,** რომელიც სეოკმა სიდნეიში ჩვენს ატაშედ გააფორმა, 1998 წელს გვაფრთხილებდა: „მერწმუნეთ, ჩაუცმელ-დაუხურავი, უჭმელ-უსმელი, ფიზიკურად არაჯანსაღი, უშეჯიბრო და ყოველგვარ სტიმულს მოკლებული ათლეტის იმედი არ გქონდეთ არც სიდნეიში და არც მსოფლიოსა თუ ევროპის ჩემპიონატებზე. გთხოვთ, შეინარჩუნოთ სპორტი ჯანსაღ მდგომარეობაში. დივიდენდებს ხალხიც და ქვეყანაც აუცილებლად მიიღებს".

ეს გაფრთხილება ისედაც სამოქმედო პროგრამად აქვს ჩვენს სპორტულ ორგანიზაციებს, მაგრამ არანაირი დივიდენდები სპორტის სფეროდან თვით პატრიოტ სპორტის მუშაკთა გარდა ქვეყანაში აღარავის აინტერესებს. ეს მწარე რეალობაა!

**თენგიზ გაჩეჩილაძე**

*იხ. „ლელო" №№ 41-50, 52,55,57,59,61,64,67,70-75*



მარცხნივ — იევერი ჯიქურაული

# იევერი ჯიქურაული (ძიუდო)

*(პირველი გვერდიდან)*

პრობლემა არ შემქმნია. სხვათა შორის, ჩემი აზრით, ამ ამბავს ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ ჩემმა პირველმა მწვრთნელმა სწორი არჩევანი გააკეთა და თბილისში ჭკვიან და საქმის მცოდნე სპეციალისტს საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს ბიძინა მოხევიშვილს ჩამაბარა და როგორც ხედავთ დღეს სიდნეის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიის მაძიებელთა სიაში ვარ.

● ***ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების ციკლში თქვენ უკანასკნელ ხანს ევროპის ჩემპიონატზე და სტუდენტთა მსოფლიო უნივერსიადაზე იასპარეზეთ.***

— ძალზე უკმაყოფილო ვარ ევროპის ჩემპიონატზე გამოსვლით. ბრატისლავის ტატამზე პირველი შეხვედრა მომიწია ევროპის მრავალგზის ჩემპიონთან და ატლანტის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორთან ფრანგ სტეფან ტრაინიესთან. დაძაბულ ორთაბრძოლაში დავმარცხდი, ამ ფაქტს შეიძლება კიდევ რაღაც გამართლება მოუძებნო, მაგრამ დამამშვიდებელ ჯგუფში რუს ალექსანდრ მიხაილინთან ნამდვილად არ უნდა წამეგო. მსოფლიო უნივერსიადაზე შედარებით გამოვასწორე მდგომარეობა. პირველ წრეში ვისვენებდი. მეორეში პოლონელი სტომას ცევზაკი წმინდად დავამარცხე, მესამე შეხვედრაში აშკარა უპირატესობით ვუგებდი რუს იური სტიორკინს — ჩემს აქტივში ორი „კოკა" და ერთიც „იუკო" იყო. დარჩენილ 25 წამში შეცდომა დავუშვი და წმინდად დავმარცხდი. დამამშვიდებელ ჯგუფში ატლანტის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი კორეელი კიმ სო, იაპონელი კეილი სუძუკი და ჰოლანდიელი როჯერ სმუგლერი თანმიმდევრობით დავამარცხე და ბრინჯაოს მედალი მოვიპოვე.

● ***მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც 7-10 ოქტომბერს ინგლისში გაიმართება, ვინ იქნებიან თქვენი ძირითადი კონკურენტები?***

— ბირმინგემში ჩემი ძირითადი კონკურენტები იქნებიან პოლონელი პაველ ნასტულა, ფრანგი სტეფან ტრაინიე, ისრაელელი არიელ ზეევი, რუსი ალექსანდრ მიხაილინი. კორეელი კიმ სო, რომელთა ჭიდაობის მანერას ზედმიწევნით ვიცნობ. ძლიერ ძიუდოისტებს მოავლენს მსოფლიო ჩემპიონატზე იაპონია და ჰოლანდია.

● ***რა შანსი გაქვთ მსოფლიო ჩემპიონატზე?***

— ნათქვამია, ცუდია ის ჯარისკაცი, ვინც გენერლობაზე არ ფიქრობსო. თუ „გენერალი" ვერ გავხდები, ლიცენზია აუცილებლად უნდა მოვიპოვო.

● ***საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატის წინ დასკვნითი შეკრება გორში ჩაატარა. როგორ პირობებში ემზადებით?***

— ნორმალური პირობები გვქონდა, ვის რა შეეძლო, გვეხმარებოდა, ეგაა, ოლიმპიადის კანდიდატებიც კი დროულად ვერ მივიღებთ სტიპენდიებს. პირადად მე ეს თანხა არა მხოლოდ დახარჯული ენერგიის აღსადგენად მჭირდება, ახლადშექმნილი ოჯახიც სარჩენი მყავს. დამატებითი სიძნელენი, რა თქმა უნდა, შედეგებზეც უარყოფიდად იმოქმედებს.

● ***რა არის თქვენთვის ოჯახი?***

— ყველაფერი. გამომიჩნდება თუ არა თავისუფალი დრო, ოჯახში ვრჩები წლინახევრის თეონასთან. ის ყოველთვის მელოდება. სოფელში ვაკითხავ მშობლებს, თავისუფალ დროს არც მეგობრებს ვივიწყებ.

ესაუბრა
**იური იმერლიშვილი**



ვიტალი მამნიაშვილი



შოთა კორაბაშვილი



კონსტანტინე ნანიტაშვილი

# „მერცხლები" „ლაგუნა ვერეს" ცაში

*(პირველი გვერდიდან)*

ლის აღსაზრდელმა ვიტალი მამნიაშვილმა ათენის საერთაშორისო ტურნირში მოიპოვა. იქ 15 ქვეყნის წარმომადგენელთა შორის ვირჯინიას თასზე ქართველმა მხტომელმა 1 მეტრიან ტრამპლინზე მესამე საპატიო ადგილი მოიპოვა. რა თქმა უნდა, იგი სკოლის ღია პირველობის ფავორიტი იყო და მას აბსოლუტურ პირველობაში ბადალი არ ჰყავდა.

მერცხლები

*3-მეტრიანი ტრამპლინი. 1987-89 წ. დაბ. ჭაბუკები:* 1. ვიტალი მამნიაშვილი – 239.01 ქულა. 2. დავით ყვავაძე – 215,22. 3. ჭოლა ჭანტურია – 205, 77; *1 მ. ტრამპლინი:* 1. კონსტანტინე ნანიტაშვილი – 170,07, 2 .ალექსანდრე გოგიაშვილი, 3. ირაკლი კვარაცხელია – 120.54, *1 მ. ტრამპლინი. 1991 წ. დაბ. ჭაბუკები:* 1. შოთა კორაბაშვილი – 118.40 ქ. 2. ანდრო ორჯონიკიძე, 112,44, 3. გიორგი ტყეშელიაძე – 95. *1 მ. ტრამპლინი:* 1. მამნიაშვილი – 244, 86. 2. ჭანტურია – 223,62, 3. ყვავაძე – 204,93. *1 მ ტრამპლინი. გოგონები:* 1. სალომე ჯულელი – 149,46, 2. ირინა კიმბერკი – 144,82, 3. ნინო ყავაძე – 199,29; *5 მ. კოშკურა 1987-89 წ.წ. დაბ. ჭაბუკები:* 1. მამნიაშვილი – 272,13, 2. ჭანტურია – 264,03, ყვავაძე – 227,82.

საქართველოს დამსახურებული მწვრთნელისა და საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელს ალექსანდრე ბართაიას მიაჩნია, რომ: „ათენის ტურნირთან შედარებით ამ შეჯიბრების შედეგები უფრო შთამბეჭდავია და იგი იმის წყალობით მოვიდა, რომ ქალაქის მერიის სპორტის სამმართველომ ამ ზაფხულს ერთთვიანი შეკრება ჩაატარა სიონში, შემდეგ კი „ლაგუნა-ვერეს" აუზში ერთთვიანმა ვარჯიშმა უფრო სტაბილური გახადა მომზადება. ამისთვის მადლობის მეტი რა გვეთქმის ამ სამსახურების ხელმძღვანელთა მიმართ. რაც მთავარია, ნათლად გამოჩნდა, რომ ჩვენი ნორჩი მხტომელები სწორ გზას ადგანან, ეს კი მომვალი წარმატებების საიმედო საწინდარია".

**ჯ. უნბიაძე**



სალომე ჯულელი

## ლ მატიანე

# რა ხდებოდა 50 წლის წინათ...

● **27 სექტემბერს** თბილისში, სანაპიროს კორტებზე, გაიხსნა სსრ კავშირის უძლიერეს ჩოგბურთელთა პირველობა, საქართველოდან მონაწილეობდნენ გ. კოკაია და ვ. ურაევსკი, ა. აირაპეტოვი, რ. ფანცხავა, გ. ლარიბაშვილი...

● **ხარკოვში** კალათბრთელთა საკავშირო ჩემპიონატში თბილისის „დინამოს" ვაჟმა კალათბურთელებმა V ადგილი დაიკავეს.

● **ტანვარჯიშში** სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება მოიპოვა თბილისელმა ალექსანდრე ჯორჯაძემ.

● **თბილისის „სპარტაკის"** ფეხბურთელთა გუნდი, რომელმაც პირველობა მოიპოვა სსრ კავშირის ცენტრალურ ზონაში და როსტოვს გაემგზავრება 6 ზონაში გამარჯვებულთა ფინალურ ტურნირზე.

● **ყაზანში** გამართულ დინამოელ სამბისტთა საკავშირო პირად-გუნდურ პირველობაში. ჩემპიონები ჩვენებიდან გახდნენ ქ. ნინიაშვილი, ე. ქარქუსაშვილი, მეორე იყო დაუშვილი; მესამე — ბახტაძე, ე. ქველიძე, მალაციძე, პატარქალიშვილი, გუნდურ ჩათვლაში მოსკოველთა შემდეგ თბილისელები მეორე ადგილზე გავიდნენ.

საქართველოს XI ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

VII ტური

## «ა» ზონა

# ბათუმელთა ძნელი გამარჯვება საკუთარ სტადიონზე

**დინამო (ბთ) — არსენალი 1-0**

***დინამო (ბთ):*** ტოგონიძე, ი. მახარაძე, პაპიძე, მ. მახარაძე, ქაცარავა, ა. მუჯირი, კობიძე, გელა ქორიძე (რომანაძე 83), მაჭუტაძე, ტუღუში (აფხაზავა 80), გაბელია (თედორაძე 58)

***არსენალი:*** ჩლაიძე, ცოტაძე (ლუდუშაური 30), ასპინძელაშვილი, ყუფარაძე, ირემაშვილი, სულაძე, ხოსროშვილი, თარგამაძე, რობაქიძე, გონჩაროვი, კვირკველია (გაგუა 46).

***მსაჯი:*** პ. დოგრაშვილი.

***გოლი:*** მუჯირი (5)

***გაფრთხილება:*** თედორაძე, პაპიძე.

***გააძევეს:*** ირემაშვილი 58

ბათუმელი გულშემატკივრები ცოტა არ იყოს, განაწყენებულები არიან თავიანთ გუნდზე და ახლა ყველა იმედოვნებდა, რომ ჩემპიონატის ერთ-ერთ აუტსაიდერს მასპინძლები იოლად, თანაც დიდი ანგარიშით მოუგებდნენ. როგორც ჩანს, არც სტუმრებს სურდათ კიდევ უფრო დაბლა დაშვებულიყვნენ სატურნირო ცხრილში და მეტოქეთა ინტერესების შეჯახებაში მატჩი თავიდანვე სანახავად დაძაბული გამოდგა. დასაწყისში დინამოელებმა ენერგიულად შეუტიეს ჩლაიძის კარს. უკვე მე-5 წუთზე მარცხენა ფლანგიდან წარმატებით დააგვირგვინა თავისიანების შეტევა მუჯირმა — 1-0. შემდეგ კობიძეს და გაბელიას მიეცათ ანგარიშის გაზრდის შესაძლებლობა, მაგრამ ჩინებულად თამაშობდა სტუმართა კაპიტანი, მეკარე ჩლაიძე.

ერთხანს ინიციატივა ხელთ იგდეს თბილისელებმა, ისინი მეტოქეს ხან მარჯვენა, ხან მარცხენა ფლანგიდან ავიწროებდნენ. განსაკუთრებით შემმუსვრელად უტევდა ხოსროშვილი. თბილისელთა „შემაწუხებელი" შეტევები არც მეორე ტაიმში განელებულა, გამოიკვეთა უხეშობაც, რაც დროულად აღკვეთა მსაჯმა და 58-ე წუთზე მინდვრიდან გააძევა ირემაშვილი. მასპინძლებს საკმაო დრო რჩებოდათ რიცხობრივი უპირატესობა გამოეყენებინათ თავიანთ სასარგებლოდ, მაგრამ იგრძნეს რა „სიმწარე", სტუმრები უფრო გახელდნენ და ფაქტობრივად მასპინძლებს ლაღი თამაშის საშუალება არ მისცეს, სიტუაცია კი თავიანთ კონტროლს დაუმორჩილეს. ხოსროშვილს და განსაკუთრებით გონჩაროვს, ანგარიშის გათანაბრების შესაძლებლობაც მიეცათ სულ მცირე, სამჯერ, მაგრამ მიზანი მიუღწეველი დარჩა. ბათუმელთაგან თავდადებით თამაშობდნენ მცველები. თედორაძემ და პაპიძემ კი ნერვები ვეღარ მოთოკეს და ყვითელი ბარათი დაიმსახურეს.

ბათუმის „დინამომ" ამ ძნელი გამარჯვებით 12 ქულა შეასრულა და ზონაში მესამე ადგილზე წამოიწია. იგი ახლა ერთი ქულით ჩამორჩება მეორე ადგილზე მყოფ „ვიტ-ჯორჯიას" და სამი ქულით უსწრებს უახლოეს მდევარს — „თბილისს".

**ოთარ მურვანიძე,**
„ლელოს" საკ. კორესპონდენტი,
ბათუმი (ტელეფონით).

**ვიტ-ჯორჯია — ლოკომოტივი 3-1**

***ვიტ-ჯორჯია:*** მამარდაშვილი, ჯ. მუჯირი, ხართიშვილი, ბარქაია, თოდუა, ნოზაძე, ზ. გვაზავა, დ. დოლიძე (საჯაია 65), ყიფიანი (მაზიაშვილი 86), გიორგი ქორიძე, რ. გოცირიძე (დილმელაშვილი 65).

***ლოკომოტივი:*** ასლანაძე, ბალაშვილი, ბაქრაძე (ბარნოვი 46), ლ. მიქაძე, მ. ქობულაძე, ჩომახიძე, რუსია, ქებაძე, წივწივაძე (შავგულიძე 34), მელქაძე 62), კაციაშვილი.

***მსაჯი:*** ს. კახიანი (თბილისი).

***გოლები:*** ყიფიანი 33 (1-0); ჩომახიძე 53 (1-1); ნოზაძე 58 (2-1); გიორგი ქორიძე 83 (3-3). გაფრთხილება: რუსია, დილმელაშვილი, მიქაძე.

**თბილისი — სამგურალი 5-2**

***თბილისი:*** ა. ჩიხრაძე, რუხაძე, ხიზანიშვილი (ი. შენგელია 56), აბრამიძე, ზამთარაძე, გველესიანი, კვარაცხელია (ებრალიძე 77), ქემოკლიძე, გ. მიქაძე (ნორაკიძე 73), თ. გაგუა, ლ. მელქაძე.

***სამგურალი:*** ბობოხიძე (ბადოკია 46), ჭელიძე, ფრანგიშვილი, ლ. ქობულაძე, ვოსკანოვი, სადილიანი, სუხიაშვილი, კოხრეიძე,(ქუთათელაძე 56), ძოძუაშვილი, ფხაკაძე, ლონდაძე (პეტრიაშვილი 46).

***მსაჯი:*** ა. შილიკაძე (თბილისი).

***გოლები:*** კვარაცხელია 2 (1-0), ძოძუაშვილი 8 (1-1), მელქაძე 27 (2-1), ძოძუაშვილი 31 (2-2), მიქაძე 36 (3-2), კვარაცხელია 66 (4-2), მიქაძე 72 (5-2).

***გაფრთხილება:*** მელქაძე, ჭელიძე, რუხაძე, ფრანგიშვილი, მიქაძე.

**დინამო (თბ.) — სიონი 3-0**

***დინამო:*** დონდტი, ხიზანეიშვილი (თ. კობიაშვილი 40), ვაშაკიძე (შაშიაშვილი 74), დიდავა, სახვაძე, შენგელია (ჯინჭარაძე 53), ანჩაბაძე, ალექსიძე, წიტაიშვილი, აშვეთია, სიჭინავა.

***სიონი:*** ვოლკოვი, [illegible], სვანიძე, შაკიაშვილი, დიმიტრაშვილი (სამხარაძე 63), მოსეშვილი, გოგოლაძე, ტარუღაშვილი, სამხარაძე (დ. ჯაფარიძე 65), დათუაძე, დ. გოდერძიშვილი (ლ. გაგუა 65).

***მსაჯი:*** ლ. ფანიაშვილი (თბილისი).

***გოლები:*** წიტაიშვილი 6 (1-0), აშვეთია 62 (2-0), ალექსიძე 76 (3-0).

***გაფრთხილება:*** მოსეშვილი, შაკიაშვილი.

## «ბ» ზონა

**თსუ — გორდა 1-0**

***თსუ:*** მერლანი, სვანაძე, დეკანოსიძე (თ. ბოკერია 82), გ. გვაზავა, წუწუნავა, ახალაძე (ჯობაძე 76), ნინუა, მესხი (ადამია 46), ერაძე, კვიციანი, დ. არჩვაძე.

***გორდა:*** მ. ქორიძე, თელიაშვილი, მჭედლიძე, ბერიძე, გაბელაია, მ. სახვაძე, ინასარიძე (პატარიძე 52), მიშველაძე, კიტეიშვილი, ვ. კილასონია, ლ. ალადაშვილი.

***მსაჯი:*** ზ. ანიაშვილი (გორი).

***გოლი:*** გვაზავა (35)

***გაფრთხილება:*** გვაზავა, კვიციანი.

**მერანი — დილა 3:1**

***მერანი:*** კოროშინაძე (ნაჭყებია 9), ლურსმანაშვილი (ივანიშვილი 69), ე. ალადაშვილი, ბ. ამბიძე, ხარებავა, ჭინჭარაული, დავითაშვილი, თოლორდავა (ჩხაიძე 75), კარიაული, დევიძე, როსტიაშვილი.

***დილა:*** სოლოღაშვილი, გ. ჩიტაია, გაგნიძე, ლომიძე, აკოფიანი, მაისურაძე (მარლიშვილი), თაყაძე, ციცქიშვილი (ბ. ჩიტაია 59), არუთინიანი, სულთანიშვილი, შატაკიშვილი.

***მსაჯი:*** ა. შალამბერიძე (ქუთაისი).

***გოლები:*** დევიძე 18 (1-0), დავითაშვილი 50 (2-0), დევიძე 56 (3-0), მარლიშვილი 86 (3-1).

***გაფრთხილება:*** სოლოღაშვილი.

**იბერია — კოლხეთი (ხობი) 2-1**

***იბერია:*** ვარდანიძე, ბიწაძე, ნიკოლეიშვილი, გეგეშიძე, მიქელაძე, მუმლაძე, ჯინჭარაძე (ხურციძე 65), ხმალაძე (დარსაძე 69), ლურსმანაშვილი, ივეჩიანი (ცომაია 82), ზ. მეტრეველი.

***კოლხეთი:*** ნიქაბერიძე, ონიანი, კვეკვესკირი, ალანია, ბუკია, ხურციძე (დანელია 64), გოგიტიძე, ქაშიბაძე (ჯამბურია 46), ლ. გვაზავა, ჭიჭინაძე, ვ. ჩიტაია (თორია 41).

***მსაჯი:*** მ. მალაღურაძე (თბილისი).

***გოლები:*** ივეჩიანი 35 (1-0), ხმალაძე 39 (2-0), დანელია 83 (22-1)

***გაფრთხილება:*** ხურცილავა, ხურციძე, ზ. მეტრეველი.

**ტორპედო — კოლხეთი-1913 (ფოთი)**

***ტორპედო:*** სომხიშვილი, ახვლედიანი (კ. კვეტენაძე 22), თურმანიძე, ხვადაგიანი, მაღლაკელიძე, შეყრილაძე, ჩხეტიანი, გოგიაშვილი, ჯანაშია (ვაჩიბერიძე 61), იონანიძე, მეგრელაძე (ბობოხიძე 78).

***კოლხეთი-1913:*** მ. გვასალია, ანჯაფარიძე, ტორჩინავა, დავითნიძე, შალამბერიძე, ტრაპაიძე, კიკლიაშვილი (ჯლარკავა 46), ხუჭუა, დ. გოგოლაძე (ბულუხია 75), ქუნთელია, ღლანიძე.

***მსაჯი:*** ს. კვარაცხელია (ზუგდიდი).

გოლები: მეგრელაძე 6 (1-0), იონანიძე 27 (2-0), მეგრელაძე 28 (3-0), იონანიძე 35 (4-0), ღლანიძე 53 (4-1).

***გაფრთხილება:*** ჯანაშია, დავითნიძე.

## VII ტურის სტატისტიკა

● ტურის ***„მიღწევაა"***

1. ტურში და საერთოდ ჩემპიონატში პირველადაა, როცა ტურის ყველა მატჩი მოიგო მასპინძლებმა.
2. ბათუმის „დინამოს" ზედიზედ 5 მატჩია (450 წთ) გოლი არ გაუშვია.
3. ჩემპიონატში პირველი გამარჯვება მოიპოვეს: „თსუ" და „მერანი-91"-მა.

● ტურში გატანილია 28 ბურთი (ეს გატანილი გოლების რეკორდული მაჩვენებელია წლევანდელ ჩემპიონატში). საშუალოდ ერთ მატჩში 3,5 ბურთი. მასპინძლებმა გაიტანეს 22, ხოლო სტუმრებმა 6 ბურთი.

სულ ჩემპიონატის დაწყებიდან ჩატარებულ 54 მატჩში გატანილია 124 ბურთი. „ა" ზონაში 59 ბურთი, ხოლო „ბ" ზონაში 65 ბურთი. მასპინძლებმა გაიტანეს 82 ბურთი, რაც შეადგენს გატანილი გოლების 66 %-ს, სტუმრებმა გაიტანეს 42 ბურთი (34 %).

● ტურში დაფიქსირდა 3 დიდი ანგარიშით მოგება.

სულ ჩემპიონატის დაწყებიდან დაფიქსირებულია 8 დიდი ანგარიშით მოგება. აქედან 4 „ა" ზონაში და 4 „ბ" ზონაში.

● ტურში „მშრალად" შეინახეს თავიანთი კარი შემდეგმა მეკარეებმა: ნ. ტოგონიძემ, („დინამო" ბთ.) — 6 ჯერ; დ. დონდმა („დინამო" თბ.) — 3 ჯერ, ჯ. მერლანმა („თსუ") — 2 ჯერ.

● ტურში „დუბლი" შეასრულეს შემდეგმა ფეხბურთელებმა: გ. მეგრელაძემ („ტორპედო"), ზ. იონანიძემ („ტორპედო"; გ. კვარაცხელიამ, („თბილისი"); გ. მიქაძემ („თბილისი"); ძოძუაშვილმა („სამგურალი"), დევიძემ („მერანი — 91").

● ტურში გააძევეს ერთი ფეხბურთელი (ირემაშვილი — „არსენალი")

სულ ჩემპიონატის დაწყებიდან გაძევებულია 10 ფეხბურთელი.

● გაფრთხილება მიიღო 20 ფეხბურთელმა.

ყველაზე „უხეში" მატჩი იყო: „თბილისი" — „სამგურალი" სადაც გააფრთხილეს 5 ფეხბურთელი.

● **ბომბარდირები:**

გიორგი ქორიძე („ვიტ-ჯორჯია") — 6 ბურთი.
ზ. იონანიძე („ტორპედო") — 5
რ. ალექსიძე („დინამო" თბ.) — 5
მ. აშვეთია („დინამო" თბ) — 4
გ. მიქაძე („თბილისი") — 4.
ლ. თოლორდავა („მერანი-91") — 3.
ს. სულთანიშვილი („დილა") — 3
დ. დევაძე („მერანი-91) — 3.
გ. კვარაცხელია („თბილისი") — 3.

**ვეფხვია ჯალაღონია,**
აფხაზეთი, ს. ფშაფი.

# საზღვარგარეთის ქვეყნების ჩემპიონატები

**ინგლისი ● X ტური**

ასტონ ვილა — ლივერპული 0-0
ბრედფორდი — სანდერლენდი 0-4
ევერტონი — ქოვენთრი 1-1
შეფილდი — უიმბლდონი 5-1
ჩელსი — მანჩესტერი 5-0
ნიუკასლი — მიდლსბრო 2-1
ტოტენჰემი — ლესტერი 2-3
უოტფორდი — ლიდსი 1-2
ვესტ ჰემი — არსენალი 2-1
საუთჰემპტონი — დერბი (დღეს გაიმართება).

**გერმანია ● VII ტური**

აინტრახტი — შტუტგარტი 0-1
მიუნხენი 1860 — არმინია 5-0
შალკე — ბაიერნი 1-1
ვოლსბურგი — ბაიერი 3-1
ბორუსია — ჰანზა 3-0
ულმი — ჰამბურგი 1-2
ჰერტა — დუისბურგი 2-1
ფრაიბურგი — ვერდერი 2-1
კობიაშვილმა მთლიანად ითამაშა, ხოლო იაშვილი შეხვედრის 42-ე წუთზე იქნა შეცვლილი.



ეფენბერგმა (ბაიერნი) 90-ე წუთზე ანგარიში გაათანაბრა

კაიზერსლაუტერნი — უნტერჰასინგი 4-2.

**იტალია ● V ტური**

ინტერი — პიაჩენცა 2-1
კალიარი — ტორინო 1-1
ბარი — უდინეზე 1-1
ბოლონია — ლეჩე 2-0
ფიორენტინა — რომა 1-3
იუვენტუსი — ვენეცია 1-0
პარმა — ვერონა 3-0
პერუჯა — რეჯინა 2-1
ლაციო — მილანი 4-4

**ესპანეთი ● VI ტური**

ვალიადოლიდი — ბარსელონა 0-2
ნუმანსია — მალაგა 1-1
სელტა — მალიორკა 1-0
სარაგოსა — სოსიედადი 2-0
რასინგი — რიო ვალეკანო 1-1
ესპანიოლი — ატლეტიკო 3-1
ალავესი — სევილია 0-0
ბეტისი — ოვიედო 1-0
რეალი — ვალენსია 2-3
ატლეტიკო — დეპორტივო 2-3

**საფრანგეთი ● IX ტური**

სედანი — ტრუა 2-1
ოლიმპიკი — მეცი 1-1
სტრასბურგი — ბორდო 2-2
სენტ-ეტიენი — ბასტია 1-1
ჰავრი — მონპელიე 2-1
ნანსი — რენი 3-0
ოსერი — ლანსი 3-2
მონაკო — ლიონი 1-0
ნანტი — პსჟ 0-4

**ჰოლანდია ● VII ტური**

ტვენტე — დე ბოში 3-2
ეინდჰოვენი — სპარტა 7-0
ფორტუნა — კამბური 4-1
ვალვაიკი — გრააფსხაფი 2-1
მაასტრიხი — ჰერენვენი 1-3
აზ 67 — ფეიენოორდი 0-0
უტრეხტი — როდა 1-2
ვიტესი — ნაიმეგენი 5-1
ვილემ II — აიაქსი 3-6



უკრაინელმა ლეგიონერმა შევჩენკომ (მილანი) ლაციოს 3 გოლი გაუტანა.



ალანია — ჩერნომორეცი 3-1
გიორგი დემეტრაძემ ჩერნომორეცის კარში მესამე გოლი გაიტანა...

**რუსეთი ● XXVII ტური**

დინამო — შინიკი 3-1
სატურნი — ცსკა 2-3
ლოკომოტივი (ნ.ნ) — როტორი 1-1
ტორპედო - როსტსელმაში 1-2
ალანია — ჩერნომორეცი 3-1
კრილია სოვეტოვი — ურალანი 0-1
ქემჩუჟინა — სპარტაკი 3-7
ლოკომოტივი (მ) — ზენიტი 1-1.

**შვეიცარია ● XIV ტური**

ლუგანო — ქსამაქსი 2-1
ბაზელი — ივერდონი 1-2,
არაუ — გრასხოპერსი 2-1
ლუცერნი — სერვეტი 2-4
ციურიხი — ზანტ-გალენი 1-3
ჯამარაულმა მთლიანად ითამაშა, ყველაშვილი 73-ე წუთზე შევიდა.

**ბელგია ● VIII ტური**

მეჰელენი — სენტ-ტრუიდენი 3-2
გენტი — ლომელი 6-2
სტანდარდი — ბევერენი 3-1
შარლერუა — მუსკრონი 2-1
გენკი — ლიერსი 2-2
ანდერლეხტი — ბეერსხოტი 2-2
ვესტერლო — ბრიუგე 1-0
ალოსტი — გეელი 1-0
ჰარელბეკი — ლოკერენი 2-3



**დიდი კლუბები**

# დორტმუნდის „ბორუსია“

— არა, მიუნხენის „ბაიერნს“ აღარ ექნება ბუნდესლიგაში ასეთი დიდი უპირატესობა, — ასე ფიქრობენ გერმანელი ექსპერტები. მათ, ცხადია, ისა აქვთ მხედველობაში, რომ მიუნხენელებს ქვეყნის 1998-99 წლების ჩემპიონატში სხვებთან შედარებით ისეთი ქულათა მარაგი დაუგროვდათ, რომ პირველი ადგილის ბედი ფინიშამდე გაცილებით ადრე გადაწყდა. მეორე პრიზიორის 15 ქულით ჩამოტოვება ისეთი ფაქტი იყო, რომ წამყვანი გერმანული კლუბების რეპუტაცია საეჭვოც აღმოჩნდა. დიახ, ეს არ უნდა გამეორდეს — სწორედ ამის შესახებაა ლაპარაკი გერმანულ პრესაში.

ერთ-ერთი კლუბი, რომელიც ახალ სეზონში „ბაიერნთან“ მძაფრ კონკურენციას აპირებს, დორტმუნდის „ბორუსია“ გახლავთ. ჩემპიონთა ლიგის 1996-97 წლების გათამაშების გამარჯვებული მომდევნო სეზონში ბუნდესლიგაში ისეთ შავ დღეში ჩავარდა, რომ არნახულად დაბალი, მეათე ადგილი დაიკავა. დიდხანს 1998-99 წლების სეზონშიც კარგი არაფერი ჩანდა, მაგრამ გუნდმა ფინიში კარგად წარმართა და საბოლოოდ მეოთხე ადგილზე გავიდა. ეს უკვე რაღაცას ნიშნავდა — დორტმუნდელებმა ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო რაუნდში თამაშის უფლება მიიღეს.

ამ ზაფხულს „ბორუსიას“ მფლობელები, რომ იტყვიან, ძალიან დატრიალდნენ, ახალი მოთამაშეების შესაძენად თითქმის 50 მილიონი მარკა დახარჯეს. ეს ისეთი თანხაა, რომ სხვა წამყვანი გერმანული კლუბი იშვიათად თუ გაიმეტებს.

უპირველეს ყოვლისა, გადაიდგა ნაბიჯები თავდასხმის გასაძლიერებლად. „მონაკოდან“ შეიძინეს ცნობილი ნიგერიელი თავდამსხმელი ვიქტორ იკპება, რომელსაც ევროპულ საფეხბურთო წრეებში კარგი სახელი აქვს. „შტუტგარტიდან“ გადავიდა ფრედი ბობიჩი. იყო დრო, როცა ბობიჩი გერმანიის ნაკრების ძირითად თავდამსხმელად ითვლებოდა, ახლა ეს პოზიცია დაჰკარგა, თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ ახალ გუნდში ახალი აღმავლობა დაეწყოს და კვლავ მიიპყროს ერიხ რიბეკის ყურადღება. „პარი სენ-ჟერმენიდან“ მიიწვიეს გერმანიის ნაკრების მცველი კრისტიან ვიორნსი, რომელმაც უკანა ხაზი უნდა გააძლიეროს. საინტერესოა, რომ მარტო ამ სამი მოთამაშის ყიდვა დაახლოებით 40 მილიონი მარკა დაჯდა!

შარშან კლუბში, ცოტა არ იყოს, საქმე ცუდად ჰქონდა ახალგაზრდა (სულ


ფრედი ბობიჩი

34 წლისაა) მწვრთნელ მიხაელ სკიბეს. უბრალოდ, რომ ვთქვათ, წამყვანი მოთამაშეები არ უჯერებდნენ. ეს სახიფათო ტენდენციები რომ აღეკვეთა, კლუბის დირექტორატმა სრული ნდობა გამოუცხადა სკიბეს, რათა მას რკინისებური დისციპლინა დაემყარებინა. განსაკუთრებით გამწვავდა ურთიერთობა მწვრთნელსა და მასზე ერთი წლით უმცროს, ცნობილ ნახევარმცველ თომას ჰესლერს (97 მატჩი გერმანიის ნაკრებში) შორის. ჰესლერი არ უჯერებდა „ბაღანას“ და ამიტომაც გუნდის დატოვება მოუხდა — იგი ახლა „მიუნხენ 1860“-ში გამოდის.

კლუბში დარჩენა არ მოისურვა ცნობილმა შვეიცარიელმა თავდამსხმელმა შტეფან შაპიუზამ, იგი ადრე „ბორუსიის“ ერთ-ერთ ლიდერად ითვლებოდა, მაგრამ გუნდში შექმნილი სიტუაცია არ მოეწონა და ციურიხში დაბრუნდა.

სხვა რა ცვლილებებია დორტმუნდში? გუნდში მათიას ზამერის დაბრუნების საკითხი უარყოფითად გადაწყდა. შეიძლება, გარკვეული ხნის შემდეგ ზამერმა თავი გამოჯანმრთელებულად ჩათვალოს (1996 წელს მიღებული ტრავმისა და მრავალი ოპერაციის შემდეგ!), თამაშიც განაახლოს, მაგრამ, არამც და არამც უმაღლეს დონეზე! ეს პირველ რიგში, თვით ზამერს ესმის — მისთვის ხომ არავის უთხოვია „ბორუსიიდან“ წასვლა, რომლის მიმართ ასეთი დამსახურება აქვთ, თვით მოინდომა კლუბისთვის ზედმეტი ბარგი არ ყოფილიყო. ფიქრობენ, რომ სკიბე ამიერიდან შეეცდება გზა გაუხსნას ახალგაზრდა რუს ფეხბურთელ ვლადიმირ ბუტს. იგი მას დიდი ხანია იცნობს — სკიბე ხომ ამ რამდენიმე წლის წინათ „ბორუსიის“ ახალგაზრდულ გუნდს წვრთნიდა, ბუტი კი იმ ხანებში მასთან თამაშობდა.

სკიბემ მოაგვარა ურთიერთობა. მე-


ბორუსია — ბავარია. იურგენ კოლერი (მარჯვნივ) ცდილობს შეაჩეროს მიუნხენელი იანკერი

ტისმეტად ნიჭიერ და მეტისმეტად ... ჭირვეულ ანდრეას მიოლერთან. როგორც ექსპერტები მიიჩნევენ, სკიბეს გადაწყვეტილება — გაანთავისუფლოს მიოლერი დაცვითი ფუნქციებისაგან და მთლიანად შეტევითი ოპერაციებისათვის გამოიყენოს, აუცილებლად სწორია.

„ბორუსიას“ ახლანდელი შემადგენლობა საკმარისად ძლიერია. მეკარე ლემანი შარშან ვერ შეეწყო „მილანს“, ახლა საიმედოდ თამაშობს და გერმანიის ნაკრებში გამოსვლის ერთ-ერთ პრეტენდენტად ითვლება. ორი მრავალნაცადი მცველი კოლერი და როიტერი ასაკის მიუხედავად ინარჩუნებს გვარიან კონდიციას. იგივე ითქმის ნერლინგერის შესახებ. ახლა ხომ ეს ხაზი ვიორმსმაც გააძლიერა. იგივე შეიძლება ითქვას საკმაოდ გადახალისებულ შუა ხაზსა და თავდასხმაზე. აქ მწვრთნელს აშშ-ს ნაკრების წევრ რეინას დიდი იმედი აქვთ.

გერმანიის ჩემპიონატში სულ რამდენიმე ტურია ნათამაშევი და სკიბე შედეგებს ვერ დაემდურება. რაც შეეხება ჩემპიონთა ლიგას, აქ „ბორუსია“ საკმაოდ იოლ „C“ ჯგუფში მოხვდა და არ უნდა გაუჭირდეს გათამაშების შემდგომ ეტაპზე მოხვედრა.

ერთი სიტყვით, „ბორუსია“ ჯერჯერობით კარგად თამაშობს, მაგრამ ეს ხომ მხოლოდ დასაწყისია.

**ბივი ბამრეკელი**

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

### გაიხსენეს ნეპომნიაშჩი

ვალერი ნეპომნიაშჩი წლების განმავლობაში სხვადასხვა ქვეყანაში კლუბების მთავარ მწვრთნელად მუშაობდა. ასე იმოგზაურა ჩინეთში, კორეაში და თურქეთში, კამერუნში კი ეროვნულ ნაკრებს ხელმძღვანელობდა. ამ ნაკრებში მან დიდ წარმატებას მიაღწია — მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატში იტალიაში კამერუნელები მეოთხედფინალში გაიყვანა.

სულ ახლახან ვალერი ნეპომნიაშჩი რუსეთის პირველი დივიზიონის კლუბ სტავროპოლის „დინამოს“ მწვრთნელად დაინიშნა. მას კონკრეტული ამოცანა დაეკისრა — „დინამო“ იხსნას მეორე დივიზიონში გადასვლის საფრთხისაგან.

### ამბოხება ტულის „არსენალში“

ტულის „არსენალი“ ისეთ ფინანსურ კრიზისში აღმოჩნდა, რომ მასთან ურთიერთობა ფეხბურთელთა დიდმა ჯგუფმა შეწყვიტა. სტავროპოლის „დინამოსთან“ კალენდარულ მატჩში მონაწილეობის მისაღებად მხოლოდ 13 მოთამაშე გაემგზავრა. გუნდი მისმა მწვრთნელმა, უკრაინელმა ლეონიდ ბურიაკმა დატოვა. მოთამაშეებს ორი თვის განმავლობაში არ მიუღიათ ხელფასი და აჯანყდნენ. ბურიაკმა მაშინაც არ მოისურვა დარჩენა, როცა გენერალური დირექტორი ვიქტორ ტიაბუსი უახლოეს ხანებში ყოველგვარი ვალის დაფარვას დაჰპირდა.

ტულის „არსენალი“, პირველი დივიზიონის გათამაშების ცხრილში მეექვსე ადგილზეა და უმაღლეს დივიზიონში გადასვლის ბრძოლის შესაძლებლობები არც ახლა დაუკარგავს, მაგრამ გუნდში შექმნილი სიტუაციის გამო, ალბათ, ამ პრეტენზიაზე ხელი უნდა აიღოს.

### ტონი ბლეირი: „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ინგლისის თასზე უნდა ითამაშოს

როგორც ცნობილია, იანვრისათვის დაიგეგმა მსოფლიოს პირველი ჩემპიონატი საკლუბო გუნდებს შორის, რომელიც ბრაზილიაში ჩატარდება. რახან ეს ვადა ინგლისის თასს დაემთხვა, „მი“-ის ხელმძღვანელობამ ინგლისის თასზე მონაწილეობაზე უარი თქვა, ეს კი ამ შეჯიბრებისადმი ინტერესს უდავოდ დააქვეითებს.

პრემიერ-მინისტრი ინგლისის ფეხბურთის ფედერაციას სთხოვს გამონახოს რაიმე საშუალება, რათა მანჩესტერლებმა ინგლისის თასზე ითამაშონ. იგივე პრობლემის წინაშე იდგა მადრიდის „რეალი“, რომელიც მიემგზავრება ბრაზილიაში, ესპანეთის თასის მატჩები კი მას უფრო გვიანდელი დროისათვის დაუნიშნეს.

### ბუ იუჰანსონს მიხაელ ლაუდრუპი შეცვლის

განთქმული დანიელი ნახევარმცველი მიხაელ ლაუდრუპი, შარშან გამოეთხოვა მწვანე მინდორს, და თავისი ქვეყნის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის, შვედ ბუ იუჰანსონის თანაშემწე გახდა. იუჰანსონის კონტრაქტი 2000 წლის ზაფხულში გათავდება და იგი, როგორც ადრე განაცხადა, აღარ აპირებს მის განახლებას. შვედ სპეციალისტს სწორედ მიხაელ ლაუდრუპი შეცვლის.

### 5 წითელი და 9 ყვითელი ბარათი

მატჩი ბულგარეთის პირველობაზე „ბელასიცასა“ (პეტრიჩი) და „ლოკომოტივს“ (სოფია) შორის ფრედ — 2-2 დამთავრდა, თუმცა ეს შედეგი უკვე აღარავის აღელვებდა. საქმე ის იყო, რომ მსაჯმა 5 ფეხბურთელი თამაშიდან გააძევა, ცხრამ კი ყვითელი ბარათი მიიღო.

ეს შეხვედრა ძალმომრეობის ფაქტებით უფრო გამოირჩეოდა. ჯერ იყო და „ბელასიცის“ კაპიტანმა ენგიძარ ენგიძაროვმა ძლიერი დარტყმით ცხვირი გაუტეხა „ლოკომოტივის“ მოთამაშე დობრომირ მიტოვს. გულშემატკივრებმა კაპიტანს მხარი აუბეს და სტუმრებს მინერალური წყლით სავსე ბოთლები დააყარეს. ამას მატჩის შემდეგ სოფიელების ავტობუსზე შეტევა მოჰყვა და გოლკიპერ რადოსტინ სტანევის ტრავმა. ასეთი შემთხვევები ბულგარეთში ძალიან გახშირდა, შარშანაც მრავლად იყო. ასე, მაგალითად, ერთ-ერთ გასვლით მატჩში სოფიის ცსკას ადგილობრივი გუნდის ქომაგები შესვენებისას გასახდელში შეეჭრნენ და სცემეს, რის შემდეგ არმიელმა ფეხბურთელებმა აღარ მოინდომეს მეორე ტაიმში მინდორზე გასვლა.

## ეუსებიო: ჩემი მიზანია ევროპის 2004 წლის ჩემპიონატი პორტუგალიაში გაიმართოს

ეუსებიოზე, როგორც ლეგენდარულ ფეხბურთელზე, არ იქნება ლაპარაკი, ვიტყვით, რომ პორტუგალიაში სწორედ იგი მიაჩნიათ ფეხბურთის მეფედ და შევეხებით პორტუგალიის განაცხადის პრეზენტაციას ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის ჩატარების შესახებ. ეუსებიოს რამდენიმე კითხვაზე პასუხის გაცემა მოუხდა.



● *სენიორ ეუსებიო, თქვენ ეთანხმებით თანამემამულეთა აზრს, რომლებიც უფრო გაფასებენ, ვიდრე პელეს?*

— არასოდეს ვცდილვარ იმის გაანალიზებას, მე უფრო კარგად ვთამაშობდი ფეხბურთს, თუ პელე. ალბათ, არც არსებობს პასუხი ამ კითხვაზე. ძალიან განვსხვავდებოდით თამაშის სტილით. დიახ, პელემ მსოფლიო ფეხბურთში უფრო მაღალი ადგილი დაიკავა. მაგრამ აქ ერთი რამ უნდა გავითვალისწინოთ. იგი პარტნიორების ბრწყინვალე პლეადით იყო გარემოცული, რომლებიც უდიდესი ოსტატობის რეალიზაციის საშუალებას აძლევდნენ. მეორე მხრივ, თავისი როლი შეასრულა ციფრების მაგიამაც: პელე ცნობილია როგორც ფეხბურთელი, რომელმაც თავისი კარიერის მანძილზე ათასზე მეტი გოლი გაიტანა. ამასთან, არავის მიუქცევია ყურადღება, რომელ შეჯიბრებებში გაიტანა ეს ათასი ბურთი. ქედმაღლობაში არ ჩამითვალოთ, მაგრამ კოპაკაბანას პლაჟზე, სადაც მთელი წლის განმავლობაში შეიძლება თამაში, ხუთი ათას ბურთს გავიტანდი.

● *ერთმანეთის წინააღმდეგ რამდენჯერმე ითამაშეთ. როგორია თქვენი პირადი შეხვედრების ანგარიში?*

— თუკი ამხანაგურ შეხვედრებს არ გავითვალისწინებთ, ანგარიში თანაბარია: 1-1. 1962 წელს „ბენფიკამ“ და „სანტოსმა“ საკონტინენტთაშორისო თასზე ითამაშეს. მაშინ ბრაზილიელებმა მოგვიგეს. 1966 წელს მსოფლიო პირველობაზე უკვე პორტუგალიისა და ბრაზილიის ნაკრებები შეხვდნენ ერთმანეთს. ჩვენ ვძლიეთ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონებს — 3-1, რამაც განაპირობა მათი უსახელო მარცხი ამ ტურნირში, პირველივე ეტაპიდან გამოთიშვა.

● *როგორი ურთიერთობა გქონდათ ლევ იაშინთან?*

— ყველაზე გულთბილი. ჩვენ ჯერ კიდევ 1963 წელს გავიცანით ერთმანეთი, როცა ორივენი მიგვიწვიეს ლონდონში ინგლისისა და ფიფას ნაკრებების შეხვედრაში სათამაშოდ, რომელიც ინგლისის ფეხბურთის 100 წლისთავს მიეძღვნა. 1966 წელს მსოფლიო პირველობაზე ყველა მეკარეს გავუტანე გოლი ვის წინააღმდეგაც კი ვთამაშობდით. უკანასკნელ მატჩს (მესამე ადგილისათვის) საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ვთამაშობდით. ვოცნებობდი ბურთი იაშინისთვისაც გამეტანა, მაგრამ არ გამომივიდა — მის მაგივრად კარში სხვა მეკარე (ანზორ კავაზაშვილი) იდგა.

უკანასკნელად კი მე და იაშინი ერთმანეთს მის სიკვდილამდე ერთი წლით ადრე 1989 წელს შევხვდით. მან მიმიწვია საზეიმო მატჩზე, რომელიც მისი 60 წლისთავის იუბილეს მიეძღვნა. არ შემეძლო უარი მეთქვა. ყველაფერი მივატოვე და მოსკოვში ჩავედი, არც მინანია — ლამაზი გოლი გავიტანე ბობი ჩარლტონის მოწოდების შემდეგ.

● *გადავიდეთ ევრო-2004-ის თემაზე. პორტუგალია მისი ჩატარების ერთ-ერთი პრეტენდენტია ესპანეთთან და ავსტრია-უნგრეთთან ერთად. როგორია თქვენი ქვეყნის პოზიციები ასეთი კონკურენციის დროს?*

— საკმაოდ ოპტიმისტური (მის კანდიდატურას მხარი დაუჭირეს ბობი ჩარლტონმა, ზინედინ ზიდანმა, გაბრიელ ბატისტუტამ, რონალდომ და ზიკომ — *რედ.*) მე ვიტყოდი: მისი ჩატარების პრეტენდენტი ახლა რეალურად ორია: ჩვენ და ესპანეთი, რაც შეეხება ავსტრიელებისა და უნგრელების ერთობლივ კანდიდატურას, მას უეფა საკმაოდ სკეპტიკურად უყურებს. გარდა იმისა, რომ ამ ქვეყნების სტადიონები მცირე გამონაკლისის გარდა, ცოტა მაყურებელს იტევს, მოსამზადებელი სამუშაოებიც მძიმედ მიმდინარეობს. ეს განსაკუთრებით უნგრეთს ეხება. იქ არენები, რომლებზეც ევროპის ჩემპიონატის მატჩების ჩატარება არის ნავარაუდევი, რეკონსტრუქციას საჭიროებს, ეს კი არც დაწყებულა.

● *როგორა გაქვთ თქვენ ამ მხრივ საქმე?*

— ბრწყინვალედ. სულ მოკლე ხნის შემდეგ 10 სტადიონი გვექნება, სადაც შეიძლება ევროპის ჩემპიონატების მატჩების ჩატარება. ხუთი მათგანი ახლად შენდება, ხუთს რეკონსტრუქცია ჩაუტარდება. უკვე ახლავე შეიძლება ითქვას, რომ პროვინციულ ქალაქებში ფარუსა, ბრაგასა და კოიმბროში სტადიონები ევროპის წამყვან ქალაქებზე უარესი არ არის. უდიდეს ქალაქებზე — ლისაბონსა და პორტუზე უკვე აღარ ვლაპარაკობ. ჩვენმა ქვეყანამ მნიშვნელოვან ეკონომიკურ აღმავლობას მიაღწია, განვითარებული ინფრასტრუქტურა გვაქვს. ერთი არგუმენტიც: ესპანეთმა უკვე ჩაატარა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები, ჩვენ კი არ გაგვიმართავს.

იურიდიული გვერდი

# „ქმნა მართლისა, სიმართლისა“...

გვერდს უძღვება „ლელოს“ იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელი ზურაბ ჯორბენაძე.
დაგვირეკეთ: 98–92–51; 8.99 51–43–11; 99–56–14.



# იურისპრუდენციის გზით – დემოკრატიისაკენ!

**სოციალიზმის** ნგრევის შემდეგ, იდეოლოგიასთან ერთად მთლიანად მოიშალა ის ურთიერთობები, რაც არსებობდა საზოგადოების წევრებს შორის. სოციალისტურ იდეოლოგიასთან ერთად დაინგრა ის სამართლებრივი ურთიერთობები, რაც თვით სოციალისტურ სისტემას ახასიათებდა. თითქოს წუთით შეჩერდა ისტორიის მოძრავი ჩარხი. შეჩერდა და თითქოს უკან დატრიალდა. საზოგადოების უმეტესობა, რომელიც სოციალიზმის ეპოქაში გაიზარდა აღმოჩნდა გაურკვევლობაში, დაიბნა ან სულაც დაკარგა გზის გაგნების უნარი. ჩვენი ხელისუფლების ხელმძღვანელებმა საზოგადოების ახალ ლერსებზე გადაყვანა განიზრახეს. საერთოდ, ერთი ისტორიული ფორმაციიდან სხვა ისტორიულ ფორმაციაში გადასვლას თან ახლავს ერთი ფორმაციისთვის დამახასიათებელი იდეოლოგიისა და სამართლებრივი ურთიერთობების შეცვლა სხვა ფორმაციისათვის დამახასიათებელი იდეოლოგიითა და სამართლებრივი ურთიერთობებით.

მსოფლიო ისტორიაში ანალოგია არა აქვს ისეთ შემთხვევას, რაც „დიდ საბჭოთა კავშირში“ მოხდა. მთელი 70 წლის მანძილზე სოციალისტური იდეოლოგიით გაჟღენთილი და სიტყვების ბრახა-ბრუხით აშენებული იმპერია დაიშალა. მაგრამ სანამ დაიშლებოდა ჯერ კრაზანას ბუდესავით აირია, აირია და თავისი ბოროტი სახე გამოაჩინა. ინტერნაციონალიზმის ბანგით გაბრუებულმა ერებმა გამოიღვიძეს და იმპერიის ხელისუფალთ დამოუკიდებლობა მოსთხოვეს. თუმცა, მსოფლიოს ერთ მეექვსედ ნაწილზე გადაჭიმულმა „გველვეშაპმა“, თავისი სხეულის შიგნით გამოღვიძებულ თავისუფლების მოსურნე ერებს „თავხედობა“ არ აპატია და სხვადასხვა განსაცდელი მოუმზადა. ამ ბოროტი ზრახვის განმხორციელებელ ძალად ისევ „უფროსი ძმა – დიდი რუსეთი“ მოგვევლინა. რუსეთის ხელით იგეგმებოდა და რუსული იარაღით სრულდებოდა საზიზღარი ეთნოკომფლიქტები ყარაბაღსა და აფხაზეთში, ჩეჩნეთსა და კიდევ სხვა რეგიონებში. რუსულმა ძალამ ისევ გამოიყენა მრავალნაცადი პრინციპი – გათიშე და იბატონე. რუსეთს არ სურს დათმოს უფროსი ძმის როლი და ერთმანეთზე წაკიდებულ პატარ-პატარა ერებს გამშველებლის როლში ევლინება. რუსეთის „კაგებეს“ მაღალ ეშელონებში დაგეგმილი ბოროტი ზრახვები რეალობად აქციეს ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე დაქსასულმა, რუსეთის არმიის ჯერ კიდევ დარჩენილმა ნაწილებმა.

რუსეთს გარდა, საქართველოს სინამდვილის გათვალისწინებით, არც ჩვენმა ხელისუფლებამ დააკლო ხელი ქვეყნის განადგურება – გაჩანაგებას, „ქვეყანა ინგრეოდა და ეშმაკს ფერხული ჰქონდაო“, – ასე დაემართათ ჩვენი ხელისუფლების მესვეურებს. ისედაც გაჩანაგებულ და განადგურებულ ქვეყნის ბიუჯეტს მძიმე ტვირთად დააწვა ხელისუფლების ფუფუნებაში ცხოვრების სურვილი. ეს სურვილი რეალობად აქციეს მაღალ-ზურგიან სკამებზე მოკალათებულმა ჩინოვნიკებმა, რომლებმაც საზღვარგარეთიდან შემოტანილი მილიარდობით კრედიტები ქვეყნის წარმოების ამუშავების ნაცვლად, ხელისუფლების მაღალი ეშელონების მატერიალურ უზრუნველყოფას მოახმარეს. და ეს მაშინ, როდესაც საქართველოს მოსახლეობის თითქმის 80 პროცენტი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს. ხელისუფლება ნაცვლად იმისა, რომ ქვეყანაში ჯერ კიდევ გაუნადგურებელი წარმოებები აამუშაოს და მოსახლეობის მცირე ნაწილი მაინც უზრუნველყოს სამუშაო ადგილებით. მაღალი თანამდებობის პირები მაქსიმალურად იყენებენ თანამდებობებს სათავისოდ. გარდა იმისა, რომ საზღვარგარეთიდან სესხად შემოტანილ მილიონებს არადანიშნულებისამებრ ხარჯავენ, ბევრი სახელმწიფო მოხელე საიდუმლოდაა დაკავშირებული საზღვარგარეთის მსხვილ სამრეწველო და სავაჭრო ორგანიზაციებთან. ისინი ქვეყნის შიგნით წარმოების აუმუშავებლობის ხარჯზე ხელს უწყობენ უცხოეთის მსხვილ ორგანიზაციებს ისარგებლონ ჩვენი ქვეყნის თავისუფალი ბაზრით. ჩამკვდარია სამამულო წარმოება, ხოლო სამამულო პროდუქცია კონკურენციას ვერ უწევს საზღვარგარეთიდან იმპორტირებულს.

***მკითხველთა დიდი ნაწილი ალბათ იფიქრებს, რომ ჩვენი მიზანი ხელისუფლების დისკრედიტაცია ან ოპოზიციაში დგომით ხალხის პატივისცემის მოპოვებაა. არა, ეს არაფერში გვჭირდება, ჩვენი მიზანი მხოლოდ დღევანდელი სინამდვილის სწორი აღქმა და მკითხველისათვის ნათლად წარმოჩენაა, ჩვენი რუბრიკაც სწორედ აქიდან მომდინარეობს. მიზნად დავისახეთ ფართო მასებს ვუთხრათ სიმართლე შეულამაზებელი სიმართლე, რამდენადაც მწარე უნდა იყოს იგი.***

ბუნებრივია, მკითხველს გაუჩნდება კითხვა ვინა ვართ ჩვენ, საიდან მოვდივართ და საით მივდივართ. მოგახსენებთ: ჩვენ ქართველი ახალგაზრდების ერთი პატარა ნაწილი ვართ. ის ნაწილი რომლებიც მოგიზგიზე სოციალიზმის დროში დავიბადეთ და სკოლაშიც და სახლშიც სოციალისტურ იდეებს გვიკიჟინებდნენ. ჩვენც, ასე თუ ისე, გვჯეროდა იმ იდეების და ხშირად ვოცნებობდით ჩვენი წვლილი შეგვეტანა დიადი მიზნის-კომუნიზმის მშენებლობის საქმეში. ჩვენ საზოგადოების ყველაზე პატიოსანი ფენის გლეხობის და მუშების შვილები ვართ და, ალბათ, დაბადებიდან მიჩვეულები შიმშილსა და გაჭირვებას, შრომა ჩვენთვის გართობა კი არა, ლუკმა პურის შოვნის ერთადერთი საშუალება იყო. ჩვენც მივეჩვიეთ შრომას და ზოგიერთი ახალგაზრდებივით სათაკილოდ არ გვეჩვენება საკუთარი შრომით თავისა და ოჯახის შენახვა, ჩვენ მარტივი გზა არასდროს გვიძებნია. რაიმეს თუ მივაღწიეთ, ეს მხოლოდ თავაუღებელი შრომის წყალობაა. დავიწყოთ იქიდან, რომ „ზოგადსაგანმანათლებლო“ სკოლის დამთავრების შემდეგ, ჩვენს მშობლებს, უმაღლეს სასწავლებელში ჩვენი მოწყობა არც რეპეტიტორების დახმარებით და არც ძლიერი „ბიძის“ მეშვეობით არ უცდიათ. ჩვენ საკუთარი ცოდნით ვცდილობდით იმ დროისათვის მეტად საოცნებო და პრესტიჟული სასწავლებლის – ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები გავმხდარიყავით, აკი გავხდით კიდეც. სტუდენტობის წლები ისეთ ძნელბედობის ჟამს დაემთხვა, როდესაც „საბჭოთა იმპერია“ იშლებოდა, იმპერიასთან ერთად გამოუსადეგარი ხდებოდა ის მეცნიერებები, რაც იმ მხოლოდ სოციალისტურ სახელმწიფოში იყო გამოსადეგი. „დიდი საბჭოთა კავშირი“ ისე სწრაფად დაინგრა, რომ ქართველმა სწავლულებმა ვერ მოასწრეს ახალი დროისათვის შესატყვისი მეცნიერებების და დისციპლინების შემუშავება. სინამდვილეში ჩვენ ისეთ დისციპლინებს გვასწავლიდნენ, რომლებიც ახალ დროში გამოუსადეგარი იყო. ამას დაემატა ისიც, რომ ქვეყანაში სამოქალაქო ომმა და თანამდებობებისათვის ბრძოლამ, ბევრი უცოდველი ქართველი ახალგაზრდის სიცოცხლე შეიწირა. ბუნებრივია, როდესაც რაღაცის ნგრევა იწყება, უკეთესის აშენებამდე ძველი მთლიანად არ უნდა გაანადგურო. თუ ამას ჩაიდენ, ღია ცის ქვეშ აღმოჩნდები. ჩვენი ქვეყნის მაგალითზე თუ ვიმსჯელებთ, ეს მართლაც ასე მოხდა. ძალიან დიდი ხანი მოვანდომეთ ათწლეულების მანძილზე ჩვენი მამების და პაპების დაუღალავი შრომით აშენებული ქვეყნის ძირითადი ქვაკუთხედის – წარმოების, განადგურება – გაჩანაგებას. გარედანაც და შიგნიდანაც ამაში ხელს ბევრი გვიწყობდა. ***საზღვარგარეთიდან ტაშის დამკვრელთა და მიმთითებელთა ჯგუფები ხომ უწყვეტ ნაკადად დაიძრა ჩვენი ქვეყნისაკენ. სამოცდაათი წლის განმავლობაში კარჩაკეტილობაში გამომწყვდეულმა ხალხმა იგრძნო რა თავისუფლება, ქაოსურად მოინდომა საზღვარგარეთული ცხოვრების სტილის შეთვისება და კარგთან ერთად, მრავალი ცუდიც გაითავისა.*** თავბრუდამხვევი სისწრაფით გაიზიდა და გაიყიდა საზღვარგარეთ ქვეყნის შიგნით არსებული დოვლათი. გაიყიდა და თანაც როგორ! იმის მეასედ ფასად, რაც რეალურად ღირდა. გამდიდრდნენ საზოგადოებაში ერთეულები, გაღარიბდნენ – ასეულები. სისტემის ნგრევას მოჰყვა წარმოების გაჩანაგება და ერთმანეთის მიყოლებით დაიკეტა უმსხვილესი საწარმოები. ასიათასობით მოქალაქე უმუშევარი დარჩა. ადამიანებმა თავის შენახვის ერთადერთ საშუალებად ვაჭრობა აირჩიეს. იყიდება ყველაფერი, ყოველ ფეხის ნაბიჯზე, ღიად და სახალხოდ! ამ ქაოსურ ქორვაჭრობას „ბიზნესი“ დაარქვეს და ქვეყანა აახმაურეს ბიზნესის ხელშეწყობაზე და საბაზრო ეკონომიკაზე. მართლაც „გააბაზრეს“ ყველაფერი, ვაჭრობენ ყველგან და ყველაფრით. როგორც დიდი ვაჟა იტყოდა „ქვეყანა იქცა დუქნადა...“ ხელისუფლების მესვეურებს, რომ ჰკითხოთ არც ერთი არარეგისტრირებული შემოსავალი არ უნდა არსებობდეს, ყველა შემოსავალი და მოგება უნდა იბეგრებოდეს. მათი აზრით, სწორედ ეს ემსახურება, ქვეყნის ბიუჯეტის შევსებას. მისასალმებელია თუ ნამდვილად ბიუჯეტის შევსებას ემსახურება ხელისუფლების გარჯა მაგრამ, რეარულ სურათს რომ სხვას ვხედავთ... ბიუჯეტი ისევ შეუვსებელია და, ასე თუ ისე, საეჭვოა რას ხმარდება ის თანხები რაც ბიუჯეტში ჭუნდა შედიოდეს.

ხელისუფლების უგერგილობაზე ამდენი იმიტომ ვილაპარაკე, რომ როდესაც ერთი ისტორიული ფორმაცია ინგრევა, სხვა ისტორიული ფორმაციის მშენებლობისათვის, უპირველესად, საჭიროა იდეოლოგია. თუ არ არსებობს იდეოლოგიური საფუძველი, მაშინ ძნელზე ძნელია პოლიტიკური საყრდენი მოუძებნო ამა თუ იმ საზოგადოების ჩამოყალიბებას.

წერილის დასაწყისში აღვნიშნე, რომ ჩვენს ქვეყანაში ისტორიის ჩარხი უკუღმა შემოტრიალდა, კერძოდ: ნაცვლად იმისა, რომ სოციალისტური წყობილებიდან განვითარებული სოციალიზმის გზის გავლით კომუნიზმში შევსულიყავით, ჩვენ უკან დაგვაბრუნეს ე.ი. სოციალიზმიდან კაპიტალიზმში მოგვისროლეს. ეს ისეთი შემთხვევაა, რაც თავისი არსებობის 70 წლის მანძილზე სოციალისტური იდეოლოგიის არც ერთ თეორეტიკოსს არ გაუთვალისწინებია. უკუპროცესმა საზოგადოების აზროვნებაზე უარყოფითად იმოქმედა. საზოგადოების ძალზე დიდი ნაწილი გაურკვევლობაში აღმოჩნდა, დღესაც ვერ გაურკვევია, როგორ მოიქცეს. ***საზოგადოების დაბნევას და გაურკვევლობას იმანაც შეუწყო ხელი, რომ საკანონმდებლო ორგანოში – პარლამენტში თავმოყრილმა იურისტების დიდმა ნაწილმა, რომლებმაც მიზნად დაისახეს ახალი საკანონმდებლო ბაზის შექმნა, კანონშემოქმედებით პროცესში ვერ გაითვალისწინა, რომ ჩვენი საზოგადოება ჯერ კიდევ მოუმზადებელია ისეთი კლასიკური იურიდიული აზროვნების შესათვისებლად, რასაც საზღვარგარეთელი გამოცდილი იურისტები სთავაზობენ.*** ამასთან გასათვალისწინებელი იყო ის გარემოებაც, რომ ამა თუ იმ კანონის მიღებისას წინასწარ უნდა გაითვალოს ჩვენი ქვეყნის რეალობა და კანონი, თავისი არსით, შორს არ უნდა იდგეს რეალობისაგან. ჩვენს ქვეყანაში, ჩემი აზრით, ასე არ მოხდა. სოციალიზმის დროს სამართლებრივ ცოდნას მოკლებულ მოსახლეობას, ჩვენმა კანონმდებლებმა, ხელში შეაჩეჩეს მაღალ იურიდიულ აზროვნებაზე აწყობილი კანონები. ***მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწ-***

ის. მე-6 გვ.

## გვიმსახურეთ, მოგვმართეთ, დაგვიკავშირდით

### მიმართვა მოქალაქეებისადმი

ძვირფასო მოქალაქენო! გაზეთ „ლელოსთან“ დაიწყო იურიდიული საგამომცემლო მომსახურება, რომელსაც ახალგაზრდა და ენერგიული იურისტი ზურაბ ჯორბენაძე ხელმძღვანელობს. ახალგაზრდა იურისტები მზად არიან დაიცვან მოქალაქეთა ინტერესები. განზრახულია, დაინერგოს საქართველოში პირადი ადვოკატის, ოჯახის ადვოკატის ინსტიტუტი. ეს იდეა ახალია ქართულ საადვოკატო პრაქტიკაში. ამ იდეის განსახორციელებლად ისევ თქვენი მხარდაჭერაა საჭირო. გადაწყვეტილია, გავითვალისწინოთ სოციალურად დაუცველი ფენების ინტერესები და მათ უფასოდ მოვემსახუროთ. ამასთან, სხვა ფირმებისაგან განსხვავებით, ჩვენთან მომსახურება, საერთოდ, გაცილებით იაფია.

თუ ჩვენთან ითანამშრომლებთ, თქვენ აღარ დაგჭირდებათ სხვადასხვა საქმეებზე სხვადასხვა ადვოკატების ძებნა და ზედმეტი თანხების გადახდა. ჩვენთან ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ თავად აირჩევთ ჩვენი კვალიფიციურ იურისტებისგან ერთ-ერთს, რომელიც უზრუნველყოფს თქვენს იურიდიულ მომსახურებას.

ჩვენი იურისტები, თქვენგან დამოუკიდებლად მოაგვარებენ თქვენს ყველა პრობლემას ისე, რომ პირადად აღარ მოგიხდებათ დროის ფუჭად ფლანგვა, ამასთან, ჩვენი მომსახურების საფასური მუდმივ კლიენტებთან გაცილებით დაბალია, ვიდრე შემთხვევით მოსულ კლიენტებთან. ასე რომ, მეგობრებო, აირჩიეთ უკეთესი ვარიანტი, აირჩიეთ დასავლეთის ქვეყნებში დანერგილი და გამოცდილი პრაქტიკა. მობრძანდით ჩვენთან, გაგვიფორმეთ ხელშეკრულება და გახდით ჩვენი მუდმივი კლიენტი. მუდამ მზად ვართ თქვენს დასახმარებლად.

*შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნებისმიერ დროს ტელეფონებით: 8 99 51-43-11 (მობილი); 98-92-51; 99-56-14.*

*შეკითხვები შეგიძლიათ გამოგზავნოთ გაზეთში მოთავსებული შეკითხვების ბლანკით. გთხოვთ, ზუსტად ჩამოაყალიბოთ რა საკითხები გექნებათ გასარკვევი, რა გაინტერესებთ. მადლობას გიხდით თანადგომისა და თანამშრომლობისათვის.*

## პოლიციას, კოვზი ნაცარში...

## ანუ სამართალმა პური ჭამა

ძვირფასო მკითხველო, საქართველოში, რომ პოლიციური რეჟიმი ზეობს, ვფიქრობ, თქვენც დამეთანხმებით, მაგრამ ამ ბოლო დროს სასამართლო სისტემაში მომხდარმა რეფორმამ, მნიშვნელოვანი ცვლილება შეიტანა მართლმსაჯულების განხორციელების საქმეში. სასამართლო რეფორმამდეც და რეფორმის შემდეგაც, ხშირია შემთხვევები, როდესაც პოლიციის მაღალჩინოსნები უხეშად არღვევენ მოქალაქეთა უფლებებს, შემდეგ კი ამ დარღვევების დასაფარავად ყველანაირ ხერხს მიმართავენ.

მინდა მოგითხროთ, ისეთ საინტერესო შემთხვევაზე, რამაც ნათლად დაგვანახა, რომ სასამართლო რეფორმა საქართველოში მართლაც განხორციელდა და რეფორმატორები არ შემცდარან, როცა მთლიანად შეცვალეს მოსამართლეთა შემადგენლობა, გამოცდაჩაბარებული კვალიფიციური კადრებით.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ 1999 წლის თებერვლის ბოლოს თხოვნით მომმართა ბრალდებულ შ. ჟღენტის მეუღლემ ლალი კაპანაძემ, რომ დამეცვა მისი მეუღლის – შოთა ჟღენტის ინტერესები. შოთა ჟღენტს ბრალად ედებოდა თურქ მოქალაქესთან ერჰან თერბიიკთან ერთად საქართველოს საზღვარზე ნარკოტიკული ნივთიერება ჰეროინის განსაკუთრებით დიდი ოდენობის კონტრაბანდული გზით გადმოტანა და საქართველოში რეალიზაცია. ეს დანაშაული თავისი სიმძიმით იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ძნელია ადვოკატმა წინასწარ განსაზღვროს მოსალოდნელი შედეგი. საქმეში ჩართვისა და ბრალდებულთან რამდენიმე შეხვედრის შემდეგ, ჩემთვის და ხათუნა სალუქვაძისათვის სავსებით ნათელი გახდა ის რეალური სურათი, რაც ამ შემთხვევაში მოხდა.

1998 წლამდე შოთა ჟღენტი რამდენჯერმე იმყოფებოდა თურქეთის რესპუბლიკაში. თურქეთში იგი დასაქმებული იყო სხვადასხვა სამუშაოზე და წლების მანძილზე იქ ცოლთან ერთად ცხოვრობდა. რამდენიმე წლის წინ ქ. ფოსოფში შოთამ გაიცნო თურქი მოქალაქე ერჰან თერბიიკი, რომელიც იმხანად ავტომობილების ბიზნეს ეწეოდა. შოთა ჟღენტმა მას სთხოვა ჩაერთო ამ ბიზნესში, რაზედაც თერბიიკი დახმარებას შეპირდა. 1998 წლის აგვისტოში ისინი შემთხვევით შეხვდნენ ერთმანეთს „მერსედესის“ ფირმის ავტოპროფილაქტიკაში. შოთამ მას თხოვნა შეახსენა. ამის შემდეგ, თერბიიკმა, მართლაც სცადა შოთა ჟღენტის ბიზნესში ჩართვა, მაგრამ მანქანების ფასების სიძვირის გამო უშედეგოდ.

1998 წლის დეკემბერში ერჰან თერბიიკი და შოთა ჟღენტი კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს. ამჟამად ერჰან თერბიიკი ხე-ტყის ბისნესში იყო ჩართული. შოთა ჟღენტმა მას მეტად სარფიანი წინადადება შესთავაზა – საქართველოდან ხე-ტყის გატანა. ამ მიზნის განსახორციელებლად ისინი 31 დეკემბერს სარფის საბაჟოს გამოვლით საქართველოში შემოვიდნენ. რამდენიმე დღე ისინი შოთა ჟღენტის ოჯახში ცხოვრობდნენ ზესტაფონის რნის სოფ. ცხრაწყაროში. 1999 წლის 7 თებერვალს ხე-ტყის ბიზნესის საქმის წამოწყების მიზნით, შოთა ჟღენტი და ერჰან თარბიიკი თბილისში ჩამოვიდნენ და შოთა ჟღენტის ბიძაშვილის ლელა ჟღენტის დახმარებით ვაჟა ფშაველას გამზირზე ბინა დაიქირავეს დროებით საცხოვრებლად. ამის შემდეგ ისინი რამდენჯერმე იმყოფებოდნენ ახმეტაში და ომალოში, სადაც აპირებდნენ ხე-ტყის შეძენას. რატომღაც ეს შეთანხმება არ შედგა. ისინი მერე კვლავ თბილისში იმ-

ის. მე-6 გვ.

# იურისპრუდენციის გზით — დემოკრატიისაკენ!

(მეხუთე გვერდიდან)

***ლი საერთოდ არ არის გარკვეული კონსტიტუციითა და კანონით მათზე მინიჭებული უფლებებსა და მათზე დაკისრებულ მოვალეობებში. მარტო მოსახლეობისთვის კი არა, იურისტების ძალიან დიდი ნაწილისთვისაც გაუგებარია ამა თუ იმ კანონის არსი. ჩვენი აზრით, იურისტების უპირველესი მოვალეობაა მოსახლეობაში ახსნა-განმარტებითი მუშაობა. საჭიროა მასებმა გაიგოს და გაითავისოს რისი უფლება აქვს და რისი არა, რისი მოთხოვნა შეუძლია და ვისგან.***

საზოგადოების თითოეული წევრის იურიდიული ცოდნის დონე იმდენად უნდა ამაღლდეს, რომ მოქალაქეები იურისტების დაუხმარებლად აგვარებდნენ იურიდიულ საკითხებთან დაკავშირებულ პრობლემებს. ჩვენ გვჯერა რომ დაუღალავი შრომის შედეგად შესაძლებელია მოკლე დროში მივაღწიოთ საზოგადოების ფართო მასების განსწავლას იურიდიულ საკითხებში. მაგრამ ამის მიღწევას სერიოზული და მიზანდასახული მუშაობა სჭირდება.

საქართველოში ამ ბოლო დროს გახსნილმა ათასობით ფასიანმა სასწავლებელმა პრეტენზია განაცხადა ადგილის დამკვიდრებაზე საზოგადოებაში. ზოგიერთ მათგანთან ბოდიშს მოვიხდი, მაგრამ ამ ფასიანი სასწავლებლების უმეტესობას ან საერთოდ არ გააჩნია, ან თითქმის არ გააჩნია ის ბაზა, რაც აუცილებელია სტუდენტებისათვის საჭირო ცოდნის მისაცემად. ასეთ სასწავლებლებს, ვფიქრობთ, არ შეუძლიათ კონკურენცია გაუწიონ ისეთ სასწავლებლებს, რომელთაც უკვე საუკუნოვანი გამოცდილება აქვთ. სასწავლებელთა ავ-კარგიანობაზე, იმიტომ გავამახვილე ყურადღება, რომ საქართველოში სამართლის დარგში სპეციალისტთა, როგორც იტყვიან, ბუმია. ყოველ მეორე ეგრეთწოდებული უნივერსიტეტი და აკადემია ამზადებს იურისტებს. მაგრამ ასეთ სასწავლებლებში კურსდამთავრებულთა უმეტესობა დიპლომის აღების შემდეგაც ვერ ანსხვავებს ერთმანეთისგან ჰიპოთეზას, დისპოზიციასა და სანქციას. ასეთი დაბალი დონის სპეციალისტები ნამდვილად ვერ განახორციელებენ ისეთ მნიშვნელოვან იდეას, რასაც საზოგადოებაში იურიდიული ცოდნის დონის გაღრმავება და ამაღლება ჰქვია. ეს მეტად საპასუხისმგებლო მისიის განხორციელება მრავალ მცოდნე და ცნობილ იურისტს აქვს დასახული მიზნად. ბევრი მათგანი ეცდება კიდეც რეალობად აქციოს ეს იდეა. ჩვენ ახალგაზრდა იურისტები ვართ. ბევრი ჩვენთაგანი, სულ რაღაც სამი წელია გამოვიდა ასპარეზზე, ბევრიც ახლა გამოდის სარბიელზე და ცდილობს თავისი ადგილი დაიმკვიდროს საზოგადოებაში. ჩვენთან შეკრებილმა იურისტების ერთმა ჯგუფმა გადავწყვიტეთ ახალი გზა ავირჩიოთ. ეს გზა საზღვარგარეთის პრაქტიკაში მრავალნაცადი და დანერგილია. ეს არის გზა, რომელიც საზოგადოების ფართო მასებისათვის გასაგებს გახდის ჩვენი საკანონმდებლო ორგანოს მიერ, ამ ბოლო დროს მიღებული საკანონმდებლო მასალებს. ***ჩვენ პირველებმა გადავწყვიტეთ საქართველოში დავნერგოთ ოჯახის ანუ კერძო ადვოკატის ინსტიტუტი. საზღვარგარეთ ამ პრაქტიკას საუკუნოვანი გამოცდილება აქვს და თავის დადებით შედეგებსაც იძლევა. ჩვენთან შეკრებილ იურისტებს შეგნებული გვაქვს რაოდენ მძიმე იქნება სამართლებრივად მოუმზადებელ საზოგადოებაში პირველმა დაგეგმო და პრაქტიკულად განახორციელო ეს ფარსაგი იდეა.***

ჩვენ ამ იდეის განხორციელების ჩვენეული გეგმა გვაქვს. პირველ რიგში მიგვაჩნია, რომ მოსახლეობის, საზოგადოების მხარდაჭერაა საჭირო. თხოვნით მივმართავთ საქართველოში მცხოვრებ ყველა მოქალაქეს, თუ თქვენთვის ძვირფასია თქვენი და თქვენი შვილების მომავალი, თუ გინდათ, რომ თქვენი შვილების და თითეული თქვენთაგანის ოჯახი სამუდამოდ დაცული იყოს ნებისმიერ გამოუვალ მდგომარეობაში, რაც დაკავშირებული იქნება თქვენი კონსტიტუციური უფლებებისა და ქონებრივი მდგომარეობის დაცვასთან, თქვენ აუცილებლად უნდა ითანამშრომლოთ ჩვენთან. ამ იდეის განსახორციელებლად გადაუდებლად მიგვაჩნია საქართველოს ყველა მოქალაქისათვის ხელმისაწვდომი იყოს აიყვანოს მისი ინტერესების დამცველი იურისტი. ეს არ უნდა იყოს დაკავშირებული ფინანსურ სიძნელეებთან, რადგან, ვინც გადაწყვეტს ჩვენთან თანამშრომლობას, გავუფორმებთ ხელშეკრულებებს და ჩვენი ორგანიზაციის იურისტები დაიცავენ მათ ინტერესებს. ნებისმიერ პრობლემატურ სიტუაციაში. ასეთი თანამშრომლობა იმითაც არის კარგი, რომ, როდესაც ოჯახი ან მოქალაქე წლების მანძილზე ითანამშრომლებს ჩვენთან, აღარ დაჭირდება სხვადასხვა საქმეებზე სხვადასხვა იურისტების ძებნა. ამასთან, აღარ იქნება აუცილებელი სხვადასხვა თანხების გადახდა, რაც დააზარალებს ოჯახის ბიუჯეტს. თუ ჩვენთან თანამშრომლობას გადაწყვეტთ, ჩვენი იურისტები გაცილებით იაფად უზრუნველყოფენ თქვენს დაცვას, ვიდრე სხვები. ***გავითვალისწინეთ მოქალაქეების სოციალური მდგომარეობა და ვაპირებთ სოციალურად დაუცველ ფენას, უფასოდ მოვემსახუროთ. ჩვენთან თანამშრომლობის სულ რამდენიმე თვეში დარწმუნდებით, რომ თავიდან მოიშორებთ თქვენ და თქვენი ოჯახების სანერვიულო პრობლემებს. ეს საზრუნავი ჩვენ მოგვანდეთ. ჩვენ პირველები ვართ ამ საქმეში, ამიტომ თხოვნით მოგმართავთ საქართველოს მოსახლეობას გამოგვიგზავნოთ წერილები და შეკითხვები იმ თქვენთვის საინტერესო იურიდიულ საკითხებთან დაკავშირებით, რისი ცოდნაც გინდათ. ჩვენი რუბრიკის მეშვეობით ამომწურავ პასუხს გაგცემთ თქვენ შეკითხვას. ამით თქვენ მიიღებთ უფასო იურიდიულ დახმარებას, დაზოგავთ დროს და თავს დაიზღვევთ საქართველოში მომრავლებული დაბალკვალიფიციური სპეციალისტებისაგან. ჩვენ შევკრიბეთ საქართველოში იურისტების საკმაოდ მომზადებული ჯგუფი, მზად ვართ ჩავდგეთ თქვენ სამსახურში, თუნდაც ეს იყოს სატელეფონო ზარი ეს მეტად მნიშვნელოვანი სიახლეა როგორც იურიდიულ მომსახურებაში, ისევე ჟურნალისტიკაში. გთხოვთ, ისარგებლოთ იმ სიკეთით რასაც ჩვენ გთავაზობთ.***

მობრძანდით ჩვენთან ხელშეკრულების გასაფორმებლად, რითაც საშუალება მოგვეცემა ვიზრუნოთ თქვენზე, გარწმუნებთ ეს სიახლე თქვენს ფინანსურ მდგომარეობას კი არ დაამძიმებს, პირიქით, გააუმჯობესებს კიდეც. ჩვენი კვალიფიციური რჩევებით უკეთ განახორციელებთ თქვენს საქმიანობას. იმედია, გამოეხმაურებით ამ საინტერესო წამოწყებას.

**ზურაბ ჟორჟანაძე**

## პოლიციას, კოვზი ნაცარში...

(მეხუთე გვერდიდან)

ყოფებოდნენ და უკეთესი შესაძლებლობის მოლოდინში, მაგრამ... თურქი მოქალაქის საქართველოში ცხოვრება მხედველობიდან არ გამორჩენიათ რიგ პიროვნებებს, რომელთა გამოც აგორდა მართლმსაჯულების ბორბალი. საქმე იმაშია, რომ 1999 წლის 3 თებერვალს შოთა ჟღენტის დროებით საცხოვრებელ ბინაში შევიდნენ საბურთალოს რ-ნის პოლიციის სამმართველოს პოლიციელები. ერთ-ერთმა, ზ. ქუთათელაძემ ბინაში მყოფთ განუცხადა, რომ პოლიციაში შესული იყო ინფორმაცია, თითქოს ბინაში ნარკოტიკები და იარაღი ინახებოდა. პოლიციელებს ბინაში ჩხრეკა არ ჩაუტარებიათ, მხოლოდ დათვალიერებით დაკმაყოფილდნენ. შოთა ჟღენტი და ერჰან თერბიიკი პიროვნების დასადგენად პოლიციაში წაიყვანეს. პოლიციაში ისინი დიდხანს არ გაუჩერებიათ, სულ რაღაც ნახევარ საათში გაათავისუფლეს, მაგრამ პოლიციიდან წამოსვლისას ერთმა ჩინოვნიკმა შოთა ჟღენტს სთხოვა 5 თებერვალს პოლიციაში მისულიყო. მისთვის არავის აუხსნია თუ რისთვის იბარებდნენ. ყველაზე საგულისხმოა ის გარემოება, რომ 3 თებერვალს პოლიციის თანამშრომლებს შოთა ჟღენტის ბინაში ახლდნენ ის პირები, რომლებმაც 1999 წლის 5 თებერვალს შოთა ჟღენტი მოტყუებით წაიყვანეს გამოძალვის მიზნით. იბადება კითხვა: გამომძალველები და პოლიცია თუ კავშირში არ იყვნენ, რატომ დაიბარეს 5 თებერვალს შოთა პოლიციაში?! ან რატომ ისარგებლეს გამომძალველებმა პოლიციის სახელით?! რატომ გაათავისუფლეს შოთა ჟღენტი საბურთალოს რაიონის პოლიციის უფროსთან გაზეთ „დრონის“ ჟურნალისტის ინგა ალავიძის მისვლიდან 15-20 წუთის შემდეგ?! ეს ყველაფერი, რომ საეჭვო იყო, ჩვენთვის, იმთავითვე გახდა ნათელი. ძიება მტკიცედ იდგა ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ მებრძოლი ეროვნული ბიუროს მიერ შეთხზულ უსაფუძვლო ბრალდებაზე, თითქოს, ერჰან თერბიიკმა და შოთა ჟღენტმა ნარკოტიკული ნივთიერება ჰეროინი სარფის საბაჟოს გამოვლით შემოიტანეს და ლელა ჟღენტის მეშვეობით დაუკავშირდნენ მაია ჩიხრაძეს, რომელიც თავის მხრივ დანაშაულებრივად დაუკავშირდა გ. ტეხაშვილს.

საინტერესოა თუ როგორ შეთხზეს ეს ისტორია და საეჭვო ბრალდება ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ მებრძოლ ეროვნულ ბიუროში. შევეცდები სრულად დაგიხატოთ ის სურათი თუ როგორ უსუსურად, კანონდარღვევით ახდენენ პოლიციის თანამშრომლები უმძიმესი ბრალდებით ადამიანთა დადანაშაულებას.

1999 წლის 10 თებერვალს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ მებრძოლი პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს მ. ებრალიძე. პირადი ჩხრეკისას მას აღმოაჩნდა მცირე ოდენობის ნარკოტიკული ნივთიერება ჰეროინი, რაზედაც მან პოლიციელებს განუმარტა, რომ ეს ნარკოტიკი მეგობარს გ. ტეხაშვილს დაუვარდა მის ბინაში ყოფნის დროს, ხოლო მან როგორც ნარკოტიკის არაინტენსიურმა მომხმარებელმა ცოტა გადმოიყარა და ერთხელ მოიხმარა. იმავე დღეს პოლიციამ გ. ტეხაშვილიც დააკავა, გ. ტეხაშვილსაც აღმოაჩნდა მცირე ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერება — ჰეროინი. ეს ნარკოტიკი მას ბეჭდის რგოლის ქვეშ ჰქონდა დამალული. მან პოლიციელებს განუმარტა, რომ აღნიშნული ნარკოტიკი მას მაია ჩიხრაძესთან ყოფნისას მისცა უცნობმა პიროვნებამ, სახელად დათომ. პოლიციაში მშვენივრად გაიგეს გ. ტეხაშვილის ჩვენება, თუმცა როგორც სასამართლოზე მიცემულ ჩვენებაში აღნიშნა, მას პოლიციაში უცნობი პირები სცემდნენ და აიძულებდნენ ჩვენება მათი კარნახით დაეწერა. იმავე დღეს დააკავეს მაია ჩიხრაძეც, მაგრამ როგორც სასამართლო გამოძიებამ ცხადჰყო, მისი დაკავების ოქმში 10 თებერვლის ნაცვლად, 11 თებერვალს გააფორმეს. მაია ჩიხრაძემ სასამართლოზე მიცემულ ჩვენებაში აღნიშნა, რომ მას ჯერ კიდევ პოლიციაში მიყვანამდე სახლში, შემდეგ მანქანაში სცემდნენ და აიძულებდნენ ჩვენებაში დაეწერა თითქოს მას ნარკოტიკი ლელა ჟღენტმა მისცა სარეალიზაციოდ, ხოლო ლელა ჟღენტს კი — თურქეთიდან ჩამოსულმა შოთა ჟღენტმა და ერჰან თერბიიკმა. ასე შეკრა პოლიციამ დანაშაულებრივი ჯაჭვი, რითაც ისინი შოთა ჟღენტამდე მივიდნენ. მაია ჩიხრაძეს რომ ჯერ კიდევ სახლში სცემდნენ პოლიციელები, ეს დაადასტურა ბრალდებულმა თ. შარვაძემ. საინტერესოა, რაში სჭირდებოდა პოლიციას შოთა ჟღენტის დადანაშაულება? ალბათ იმაში, რომ არ გამომჟღავნებულიყო კავშირი გამომძალველებსა და საბურთალოს რაიონის პოლიციელებს შორის. პოლიციამ თავისი კვალის დაფარვა სცადა, მაგრამ უშედეგოდ.

1999 წლის 5 თებერვლის ეპიზოდით შეშინებული შოთა ჟღენტი 9 თებერვალს თავისი დის — მარიკა ჟღენტის სახლში გადადის საცხოვრებლად ცოლთან და თურქ სტუმართან ერთად. 11 თებერვალს კი ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ მებრძოლი ეროვნული ბიუროს პოლიციის თანამშრომლები. მოტყუებით, თითქოს საბურთალოს პოლიციიდან იყვნენ და ერთ-ერთი დაკავებული გამომძალველის მეტსახელად „გვაჯიკას“ ამოსაცნობად მიჰყავდათ, აკავებენ შ. ჟღენტს და ერჰან თერბიიკს. თუმცა, როგორც საქმით მასალებით გაირკვა დაკავების ოქმი მხოლოდ 12 თებერვალს 14 საათზე გაფორმდა. ე.ი. 16 საათის განმავლობაში შ. ჟღენტი უკანონო პატიმრობაში იმყოფებოდა. შ.ს.ს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ მებრძოლ ეროვნულ ბიუროში მიყვანის შემდეგ შ. ჟღენტს სცემდნენ, ასევე ცემდნენ მის ბიძაშვილს ლ. ჟღენტს და აიძულებდნენ ჩვენებები კარნახით დაეწერათ. მათ, საერთოდ, არ განუმარტებიათ თავიანთი უფლებების შესახებ და დამცველით უზრუნველყოფის ნაცვლად, პოლიციაში ძალდატანებით მოაწერინეს ხელი ხელწერილზე, თითქოს მოკვლევის ეტაპზე მათ ადვოკატი არ სჭირდებოდათ. პოლიცია შეეცადა დაემალა ცემის და ძალდატანების ფაქტი, მაგრამ ვერ შეძლო, რადგან უშიშროების საგამოძიებო იზოლატორში გადაყვანისას, შ. ჟღენტი შეამოწმა ექიმმა. შედგა ოქმი, სადაც დაფიქსირდა, რომ შ. ჟღენტი ნაცემი იყო. პოლიციაში დაკავებული პირების ცემის ფაქტი დაადასტურეს თვით ბრალდებულებმაც.

ცემისა და მუქარის შიშით აიძულეს შოთა ჟღენტი პოლიციის მიერ მიცემული სამი ცალი ქაღალდის პაკეტი, რომელშიც თითქოს ჰეროინი იყო, ორი ჩაედო 12 თებერვალს თავისი დის — მარიკა ჟღენტის სახლში დატოვებულ ჩანთაში. ხოლო მესამე — თურქი სტუმრის დიპლომატში. ნარკოტიკი რომ ნამდვილად ჩადებული იყო ეს დაადასტურეს მოწმეებმა: მ. ჟღენტმა, თ. გუგეშაშვილმა და სხვებმა. ასეთივე სცენა მოუწყვეს პოლიციელებმა ლელა ჟღენტს, ოღონდ მას ნარკოტიკი ეზოში მიტოვებული ხის კიბის ქვეშიდან „წარმოადგინეს“. დაცვის მხარის შუამდგომლობით, სასამართლომ დაათვალიერა აღნიშნული კიბე და დარწმუნდა, რომ ქაღალდის პაკეტში გახვეული ნარკოტიკი ისეთი კიბის ქვეშ, რომელიც ხშირად სველდება, ისეთი სახით არ შეინახებოდა. ნარკოტიკი ამ შემთხვევაშიც პოლიციამ ჩაადებინა ლ. ჟღენტს.

დაცვის მხარის შუამდგომლობით, სასამართლომ იმსჯელა იმ კონკრეტულ კანონდარღვევებზე, რაც დაუშვა პოლიციამ და ს.ს. საპროცესო კოდექსის 111 მუხლის თანახმად დაუშვებელ მტკიცებულებად მიიჩნია შოთა ჟღენტის — დის მარიკა ჟღენტის სახლში ჩატარებული ჩხრეკა, აგრეთვე ნანა ჟღენტის სახლში ჩატარებული ე.წ. „წარმოდგენა“. საპროცესო კოდექსის თანახმად, დაუშვებელი მტკიცებულებები უნდა იქნას ამოღებული მტკიცებულებათა ნუსხიდან და არ შეიძლება დაედოს განაჩენს საფუძვლად.

ამ მტკიცებულებათა გარდა ბრალდების მხარეს დარჩა მხოლოდ ის აღიარებითი ჩვენებები, რომლებიც, როგორც ზემოთ აღვნიშნე, პოლიციამ ფიზიკური ზემოქმედებით მიაცემინა დაკავებულებს. თუმცა, ბრალმდებელმა თავის საბრალდებო სიტყვაში მაინც ჯიუტად მოითხოვა სასჯელი, თანაც საკმაოდ მძიმე — 13-13 წელი. მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნავდი, ობიექტურმა სასამართლო კოლეგიამ საქმის ყველა წვრილმანი შეაჯამა და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ შოთა ჟღენტს და ერჰან თერბიიკს საქართველოში ნარკოტიკული ნივთიერება ჰეროინი არ ჩამოუტანია და, ბუნებრივია, არ გაუსაღებია. სასამართლომ შოთა ჟღენტზე და ერჰან თერბიიკზე წაყენებული ბრალდება დაუსაბუთებლად ცნო და ისინი გაამართლა.

სასამართლომ ასევე ობიექტურად გამოარკვია საქმის ნამდვილი გარემოებები და სხვა ბრალდებულებს ჩადენილი დანაშაულის შესაბამისი სასჯელი გამოუტანა. ამ სასამართლო პროცესმა ნათლად დაგვანახა, რომ საქართველოში სასამართლო რეფორმა ნამდვილად განხორციელდა. ახალი მოსამართლეები ობიექტურად და სამართლიანად იკვლევენ ყველა წვრილმანს და სწორ გადაწყვეტილებებს იღებენ.

სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლებულმა თურქმა მოქალაქემ ირწმუნა, რომ საქართველოში კანონი კანონობს და ქართველი მოსამართლეები დიდი გულმოდგინებით ცდილობენ გამოასწორონ გამოძიებაში დაშვებული უამრავი კანონდარღვევები.

ვამთავრებ ამ ისტორიას და დიდ მადლობას ვუხდი იმ სასამართლო კოლეგიას რომელმაც სამართლიანი განაჩენი გამოიტანა.

დიდი მადლობა ქალბატონო ნანა!

**ზურაბ ჟორჟანაძე,**
ადვოკატი

## ბრძნული აზრები



**რუსთაველი:** ნუ ამრუდებ უმართლესსა, ნუ წაიწყმედ ამით სულსა.

**მ. ავრელიუსი:** ათასი გარემოებაა იმისთანა, რომელიც ჯერ უნდა გამოიძიო, ვიდრე განიკითხავდე საქციელს სხვისას.

**უ. შექსპირი:** იქ, სადაც მოსამართლე მზაკვარია და მტაცებელი, ქურდს სრული ფლება აქვს ქურდობისა.

**პ. ლემონტეი:** სადაც არ არის მართლმსაჯულება, იქ ბუნაგია და არა მამული.

**არჩილ მეფე:** მსაჯულად ყოფა ცუდია, ვინ ვერ სცნობს ცრუ და მართალსა, მოიკიცხება საჯაროდ, დააკლებს ვინც სამართალსა:

**ვახტანგ მეექვსე:** ცილსა ნურავის დაწამებ, კაცობაშია ძნელია...

**ჰ. სპენსერი:** რამდენადაც სრულია და სავსე მოქმედება მართლმსაჯულებისა, იმდენად ამაღლდება სიცოცხლე და ცხოვრება ადამიანისა.

ბრძნული აზრები

### უფასო შეკითხვის ბარათი:

სახელი, გვარი: ______________________

პროფესია, ასაკი: ______________________

რა საკითხზე გსურთ გიპასუხოთ: ______________________

______________________

______________________

______________________

ბარათი გთხოვთ წარმოადგინოთ რედაქციაში (რაიონებიდან ფოსტით) მისამართი: თბილისი, 380008, კოსტავას ქ.14, „ლელო“



## „ტოტენჰემში" თამაში არ სურს

ცნობილმა ნორვეგიელმა თავდამსხმელმა ოლე-ჰუნარ სოლსკიაერმა (ზოგრი გამოცემა ინგლისურ ყაიდაზე სულშერად მოიხსენიებს) უარი განაცხადა გადავიდეს ლონდონის კლუბ „ტოტენჰემ ჰოტსპურში". მას ლონდონელები კარგა ხანია ეპატიჟებიან და ერთხელ კიდევ შესთავაზეს ნორვეგიელის კლუბ „მანჩესტერ იუნაიტედს" 5,5 მილიონი გირვანქა სტერლინგი. კლუბი თანახმაა, მაგრამ სოლსკიაერს არავითარ შემთხვევაში არ სურს მანჩესტერის დატოვება, თუმცა ძირითად შემადგენლობაში მუდმივი ადგილი არ აქვს. აქ თავდასხმაში კოულ-იორკის განთქმული „დუეტი" მოქმედებს.

*სურათზე: ნორვეგიელი ლეგიონერის ოლე-ჰუნარ სოლსკიაერის (სულშერის) წინ „ზედახორაა".*




## ევრო 2000-ის თილისმა დამტკიცდა

უეფამ დაამტკიცა ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის თილისმა — ბენელაკი. ეს სახელი ორგანიზატორი ქვეყნების ორი დიდი გაზეთის „დე ტელეგრაფის" (ჰოლანდია) და „ჰეტ ლატსტე ნიუსის" (ბელგია) მკითხველების კონკურსის შედეგად დადგინდა. კომპეტენტურმა ჟიურიმ ჰოლანდიის ქალაქ უტრეხტის მცხოვრებ იურიან რეიპინსის წინადადება მიიღო.

რას ნიშნავს ბენელაკი? ბელგია — ჰოლანდია — ბედნიერს!

## ქეცბაიას კლუბი სტადიონს ანახლებს

თემურ ქეცბაიას კლუბი „ნიუკასლ იუნაიტედი", რომელსაც განთქმული მწვრთნელი ბობი რობსონი ჩაუდგა სათავეში, მისი უმძიმესი სატურნირო მდგომარეობის მიუხედავად სულაც არ აპირებს ფარ-ხმალის დაყრას. კლუბის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება „ნიუკასლის" ობლიგაციების დამატებითი ემისიის შესახებ, რაც მას გარკვეულ თანხებს შესძენს. ამის შემდეგ ნიუკასლის სტადიონი „სენტ-ჯეიმს პარკი" გადაკეთდება და 36 ათასის ნაცვლად 51 ათას მაყურებელს დაიტევს.

## „ოქროს წიგნში" შეიტანეს

სანქტ-პეტერბურგის ახლოს მდებარე ქ. კოლპინოს, „ოქროს წიგნი" აქვს, სადაც თავისი ყველაზე უფრო ცნობილი მოქალაქეების გვარები შეაქვს. ახლა ამ „ოქროს წიგნში" ჩაწერეს სანქტ-პეტერბურგის „ზენიტის" თავდამსხმელ ალექსანდრ პანოვის გვარი. პანოვს ამ სეზონში დიდი წარმატებები აქვს და სწორედ მისმა ჩინებულმა თამაშმა განაპირობა რუსეთის ნაკრების მოგება პარიზში მსოფლიო ჩემპიონებთან — ფრანგებთან შეხვედრაში.



## „ლაციო" პალერმოს გადაბირებას ცდილობს

„ლაციომ" ცდები განაახლა. ცნობილი არგენტინელი თავდამსხმელის მარტინ პალერმოს გადაბირების პალერმოს, იმ ცნობილი „სამი პენალტის" ისტორიის მიუხედავად, სულაც არ დაუკარგავს თავისი სნაიპერული თვისებები და „ბოკა ხუნიორსის" შემადგენლობაში ბევრი გოლი გააქვს. რომაელები „ბოკას" 13,5 მილიონ დოლარს სთავაზობენ, არგენტინელები კი სამი მილიონით მეტს ითხოვენ.

„ლაციომ" არგენტინელებთან მოლაპარაკება მას შემდეგ განაახლა, რაც მიიღო გადაწყვეტილება „ბოლონიისათვის" დაებრუნებინა შვედი თავდამსხმელი კენეტ ანდერსონი. ამასთან, სატრანსფერო „ბაზარი" იტალიაში მხოლოდ იანვარში გაიხსნება, მანამდე კი პალერმოს შეუძლია თავისი ამოცანები გადაწყვიტოს: გახდეს არგენტინის სამგზის ჩემპიონი, ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერი და გაიუმჯობესოს შედეგიანობის რეკორდი — 20 გოლი 19 თამაშში. ახლა მას 8 თამაშში 8 გოლი აქვს გატანილი.

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## „სპარტაკი" ავაქოვით დაინტერესდა

მოსკოვის „სპარტაკი" დაინტერესდა ნიჟნი ნოვგოროდის „ლოკომოტივის" თავდამსხმელ არსენ ავაქოვით. იგი ამ სეზონში წარმატებით თამაშობს და 12 გოლი აქვს გატანილი.

აი, რა განაცხადა ამის შესახებ „ლოკომოტივის" მწვრთნელმა ვალერი ოვჩინიკოვმა:

— ჩვენ ავაქოვი იჯარის წესით ვითხოვეთ მოსკოვის „ტორპედოსაგან" წლის ბოლომდე, შევეცდებით შევინარჩუნოთ. როგორი იქნება მისი შემდგომი ბედი, ნოემბერში გაირკვევა.

## ბიშოვეცი გაანთავისუფლეს

ანატოლი ბიშოვეცის კარიერა დონეცკის „შახტიორში" ძალზე ხანმოკლე აღმოჩნდა. მას შემდეგ, რაც უკრაინული გუნდი უეფას თასზე დამარცხდა ჰოლანდიურ „როდასთან", ბიშოვეცს დაატოვებინეს მთავარი მწვრთნელის თანამდებობა. კლუბის დირექტორატმა ჩათვალა, რომ ბიშოვეცის ხელმძღვანელობით „შახტიორმა" გაიუმჯობესა კი არა, პირიქით, უფრო გაიუარესა თამაში და კიევის „დინამოს" მეტოქე ვერ გახდა.

## „ლიდსი" - მომავალი ათწლეულის „მანჩესტერ იუნაიტედი"

„ლიდს იუნაიტედმა" უეფას თასის მორიგი რაუნდის წილისყრამ მოსკოვის „ლოკომოტივს" რომ შეახვედრა, ინგლისის 1998-99 წლების ჩემპიონატში მეოთხე ადგილი დაიკავა, ახლანდელ პირველობას კი ლიდერობს.



როგორც ინგლისელი მიმომხილველები მიიჩნევენ, ამ ახალგაზრდულ კლუბს სპორტული ზრდის დიდი პერსპექტივები აქვს. მას „მომავალი ათწლეულის „მანჩესტერ იუნაიტედსაც" კი უწოდებენ.

## 1/32 ფინალის წილისყრა

სტიაუა (რუმინეთი) — ვესტ ჰემი (ინგლისი)
მტკ (უნგრეთი) — აეკი (საბერძნეთი)
ლევსკი (ბულგარეთი) — იუვენტუსი (იტალია)
დეპორტივო (ესპანეთი) — მონპელიე (საფრანგეთი)
ლიდსი (ინგლისი) — ლოკომოტივი (რუსეთი)
არისი (საბერძნეთი) — სელტა (ესპანეთი)
ჰაპოელი (ისრაელი) — აიაქსი (ჰოლანდია)
უდინეზე (იტალია) — ლეგია (პოლონეთი)
პარმა (იტალია) — ჰელსინბორგი (შვედეთი)
ინტერი (სლოვაკეთი) — ნანტი (საფრანგეთი)
როდა (ჰოლანდია) — ვოლსბურგი (გერმანია)
ნიუკასლი (ინგლისი) — ციურიხი (შვეიცარია)
გრაცერი (ავსტრია) — პანათინაიკოსი (საბერძნეთი)
ატლეტიკო (ესპანეთი) — ამიცა (პოლონეთი)
ანდერლეხტი (ბელგია) — ბოლონია (იტალია)
ლანსი (საფრანგეთი) — ვიტესი (ჰოლანდია)
ვერდერი (გერმანია) — ვიკინგი (ნორვეგია)
სლავია (ჩეხეთი) — გრასჰოპერსი (შვეიცარია)
პაოკი (საბერძნეთი) — ბენფიკა (პორტუგალია)
ვიძევი (პოლონეთი) — მონაკო (საფრანგეთი)
ტოტენჰემი (ინგლისი) — კაიზერსლაუტერნი (გერმანია)
გიოტებორგი (შვედეთი) — რომა (იტალია)
ტეპლიცე (ჩეხეთი) — მალიორკა (ესპანეთი)
ლიონი (საფრანგეთი) — სელტიკი (შოტლანდია)

*მატჩები გაიმართება 21 ოქტომბერსა და 4 ნოემბერს.*

## უეფას თასი — პირველი წრის საპასუხო მატჩები

*აეკ (საბერძნეთი) — ტორპედო (საქართველო) 6-1 (1-0)*
1-0 — ჩირიჩი (8. პენ.) 2-0 — ბიეკოვიჩი (22), 3-0 — მალადენისი (25), 4-0 — კოპიცისი (43), 4-1 — მეგრელაძე (73), 5-1 — ნიკოლაიდისი (74). 6-1 — კოპიცისი (88).
*პაოკ (საბერძნეთი) — ლოკომოტივი (საქართველო) 2-0 (7-0)*
1-0 — ვალენსია (52. პენ.), 2-0 — სალპიგიდისი (88).
*ლევსკი (ბულგარეთი) — ჰაიდუკი (ხორვატია) 3-0 (0-0)*
1-0 — ივანკოვი (16. პენ.), 2-0 — ბაჩევი (32). 3-0 — დიმიტროვი (84).
*ბოლონია (იტალია) — ზენიტი (რუსეთი) 2-2 (3-0)*
0-1 — პანოვი (35), 1-1 — ფონტოლანი (39), 2-1 — ჩიპრიანი (74), 2-2 — კონდრაშოვი (89).
*სლავია (ჩეხეთი) — ვოივოდინა (იუგოსლავია) 3-2 (0-0)*
0-1 — ბელიჩი (18), 1-1 — პეტროუსი (39), 1-2 — ბოგდანოვიჩი (47), 2-2 — დოშეკი (73), 3-2 — ზელენკა (82).
*კრივბასი (უკრაინა) — პარმა (იტალია) 0-3 (2-3)*
0-1 — ბოგოსიანი (36), 0-2 — კრესპო (40), 0-3 — დი ვაიო (67).
*სპარტაკი (სლოვაკეთი) — გრაცერი (ავსტრია) 2-1 (0-3)*
0-1 — შტანდფესტი (14), 1-1, 2-1 — მეზლაი (45.70).
*შახტარი (უკრაინა) — როდა (ჰოლანდია) 1-3 (0-2)*
0-1 — ჩუტანგი (27), 1-1 — ბენიო (32), 1-2 — ვან დერ ლიუერი (82), 1-3 — ვან დესელი (89).
*ფერენცვაროში (უნგრეთი) — ტეპლიცე (ჩეხეთი) 1-1 (1-3)*
0-1 — რადა (53), 1-1 — მატიუში (57).
*ლანსი (საფრანგეთი) — მაკაბი (ისრაელი) 2-1 (2-2)*
0-1 — ბასისი (23), 1-1 — ნუმა (78), 2-1 — დელპორტი (80).
*ლოკომოტივი (რუსეთი) — ლიუნგბიუ (დანია) 3-0 (2-1)*
1-0 — ხარლაჩოვი (20), 2-0 — დროზდოვი (43), 3-0 — ჯანაშია (44).
*კილმარნოკი (შოტლანდია) — კაიზერსლაუტერნი (გერმანია) 0-2 (0-3)*
0-3 — ჯორკაეფი (22), 0-2 — რამზი (29)
*სენტ-ჯონსტონი (შოტლანდია) — მონაკო (საფრანგეთი) 3-3 (0-3)*
1-0 — ლეონარი (5. საკ. კარში), 1-1 — პრსო (9), 1-2 — რიისე (24), 2-2 — დასოვიჩი (33), 2-3 — ლეგვინსკი (69), 3-3 — ონილი (76).
*ანკარაგიუჯიუ (თურქეთი) — ატლეტიკო (ესპანეთი) 1-0 (0-3)*
1-0 — ბიროლი (84).
*ბრონდბიუ (დანია) — ამიცა (პოლონეთი) 4-3 (0-2)*
1-0 — მადსენი (37), 1-1 — კრისალოვიჩი (52), 2-1 — და სილვა (54), 2-2 — კუჭიელკა (63, პენ.), 2-3 — კრისალოვიჩი (68), 3-3 — მადსენი (76), 4-3 — კრისტენსენი (78).
*კარპატი (უკრაინა) — ჰელსინგბორგი (შვედეთი) 1-1 (1-1), 2-4 — პენალტებით*
0-1 — იონსონი (89), 1-1 — გეცკო (90).
*ზიმბრუ (მოლდოვა) — ტოტენჰემ ჰოტსპური (ინგლისი) 0-0 (0-3)*
*ნანტი (საფრანგეთი) — იონიკოსი (საბერძნეთი) 1-0 (3-1)*
1-0 — და როშა (48).
*ვიძევი (პოლონეთი) — სკონტო (ლატვია) 2-0 (0-1)*
1-0 — ვიშნიარეკი (1), 2-0 — გესიორი (43).
*გიოტებორგი (შვედეთი) — ლეხი (პოლონეთი) 0-0 (2-1)*
*ფენერბახჩე (თურქეთი) — მტკ (უნგრეთი) 0-2 (0-0)*
0-1, 0-2 — კენეში (56, 63).
*დინამო (რუმინეთი) — ბენფიკა (პორტუგალია) 0-2 (1-0)*
0-1 — მანიჩე (26), 0-2 — ფერნანდესი (72).
*ლიერსი (ბელგია) — ციურიხი (შვეიცარია) 3-4 (0-1)*
0-1 — ჯამარაული (2), 1-1 — ვან მეირი (16), 1-2 — ფრიკი (57), 2-2 — ჰიუისეგემსი (71), 3-2 — ცდებელი (82), 3-3 — ეიდელი (87), 3-4 — დამსი (89. საკ. კარში).
*დუკლა (სლოვაკეთი) — აიაქსი (ჰოლანდია) 1-3 (1-6).*
1-0 — მალატინსკი (45), 1-1 — არველაძე (47), 1-2 — ბობსონი (64), 1-3 — ლაუდრუპი (90).
*სელტა (ესპანეთი) — ლოზანა (შვეიცარია) 4-0 (2-3)*
1-0 — მაკარტი (10), 2-0 — მოსტოვოი (76), 3-0, 4-0 — მაკარტი (85, 90).
*ოლიმპია (სლოვენია) — ანდერლეხტი (ბელგია) 0-3 (1-3)*
0-1 — კოლერი (63), 0-2, 0-3 — რაძინსკი (69, 72).
*გრასჰოპერი (შვეიცარია) — კოპენჰაგენი (დანია) 1-1 (2-0)*
0-1 — ჰასენი (30). 1-1 — მაგრო (79).
*რაპიდი (ავსტრია) — ინტერი (სლოვაკეთი) 1-2 (0-1)*
0-1 — სუჩანოკი (45), 0-2 — ბაბნიკი (64), 1-2 — ცინგლერი (65).
*პანათინაიკოსი (საბერძნეთი) — ნოვა გორიცა (სლოვენია) 2-0 (1-0)*
1-0 — სიგურდსონი (38), 2-0 — ნასიოპულოსი (69).
*ჰაპოელი (თელ-ავივი, ისრაელი) — სელტიკი (შოტლანდია) 0-1 (0-2)*
0-1 — ლარსონი (63).
*ოლიმპიკი (საფრანგეთი) — ჰიკ (ფინეთი) 5-1 (1-0)*
1-0 — ანდერსონი (11), 2-0 — ბლანი (15), 3-0 — ლინარე (18), 3-1 — ლეჰკოსუო (40), 4-1, 5-1 — ვერელი (71,85).
*იუვენტუსი (იტალია) — ომონია (კვიპროსი) 5-0 (5-2)*
1-0, 2-0 — კოვაჩევიჩი (21, 47), 3-0 — ტაკინარდი (55), 4-0 — კოვაჩევიჩი (88), 5-0 — კონტე (90).
*ბრიუგე (ბელგია) — ჰაპოელი (ჰაიფა, ისრაელი) 4-2 (1-3)*
0-1 — როსო (18), 1-1 — ვერჰეიენი (20), 2-1 — ბორკელმანსი (26), 3-1 — იანსენი (52), 3-2 — როსო (89), 4-2 — იანსენი (90).
*ვერდერი (გერმანია) — ბოდო გლიმტი (ნორვეგია) 1-1 (5-0)*
0-1 — სტაურვიკი (36), 1-1 — აილტონი (76).
*ლეგია (პოლონეთი) — ანორთოსისი (კვიპროსი) 2-0 (0-1)*
1-0 — მიეციელი (48), 2-0 — ჩერეშევსკი (68).
*ოლბორგი (დანია) — უდინეზე (იტალია) 1-2 (0-1*
0-1 — მუცი (63), 1-1 — მატოვაცი (71), 1-2 — ლოკატელი (90).
*ვიტესი (ჰოლანდია) — ბეირა მარი (პორტუგალია) 0-0 (2-1)*
*ოსიეკი (ხორვატია) — ვესტ ჰემ იუნაიტედი (ინგლისი) 1-3 (0-3)*
0-1 — კიტსონი (27), 1-1 — ბუბალო (70), 1-2 — რადოკი (83), 1-3 — ფოე (90).
*ლიდს იუნაიტედი (ინგლისი) — პარტიზანი (იუგოსლავია) 1-0 (3-1)*
1-0 — ჰაკერბი (55).
*ნიუკასლ იუნაიტედი (ინგლისი) — ცსკა (ბულგარეთი) 2-2 (2-0)*
0-1 — ლიტერა (29), 1-1 — შირერი (32), 2-1 — რობინსონი (88), 2-2 — სიმეონოვი (90).
*მალიორკა (ესპანეთი) — სიგმა (ჩეხეთი) 0-0 (3-1)*
*სერვეტი (შვეიცარია) — არისი (საბერძნეთი) 1-2 (1-1) — დამატებით დროში*
1-0 — ლონფა (35), 1-1 — ანდრიოლო (37), 1-2 — კიზერიდისი (95).
*დეპორტივო (ესპანეთი) — სტაბეკი (ნორვეგია) 2-0 (0-1)*
1-0 — იოკანოვიჩი (37), 2-0 — ფლავიო კონსეისაო (63).
*სპორტინგი (პორტუგალია) — ვიკინგი (ნორვეგია) 1-0 (0-3)*
1-0 — აიეუ (76, პენ.).
*სეტუბალი (პორტუგალია) — რომა (იტალია) 1-0 (0-7)*
1-0 — მაკინვა (78).



# განა არსებობს უძლეველი მოკრივე?!

ამ მატჩამდე ორი ასეთი ჩემპიონი არსებობდა, თანაც ერთ, მეორე ნახევრადსაშუალო წონაში.

ამ მეტისმეტად საინტერესო შეხვედრაზე, რომელიც ამას წინათ ჩატარდა, კრივის მიმომხილველები კიდევ დიდხანს ილაპარაკებენ, თუნდაც იმის გამო, რომ მოსალოდნელია მისი გაგრძელებაც...

„ოქროს ბიჭად" წოდებული ოსკარ დელა ჰოია (მექსიკა) პოპულარობით სულაც არ ჩამოუვარდებოდა თუნდაც ყველაზე უფრო განთქმულ მძიმეწონოსნებს, რაც კრივის სამყაროში საკმაოდ უჩვეულო მოვლენაა. მსოფლიო ჩემპიონმა WBC-ს ვერსიით, 31 შეხვედრა გამართა და ყველა (!) მოიგო, ამასთან, 25 – ნოკაუტით. უბრწყინვალესი შედეგია, არა? მაგრამ, თურმე ნუ იტყვით, პუერტორიკოელ ფელიქს ტრინიდადს, რომელსაც ქომაგები, უბრალოდ, ტიტოს უწოდებენ, უკეთესიც კი ჰქონია. მსოფლიო ჩემპიონმა IBF-ის ვერსიით 35 მატჩი გამართა, ყველა მოიგო, აქედან 30 ნოკაუტით.

მაგრამ რამდენ ხანს უნდა დარჩენილიყო ეს ორი მოკრივე უძლეველი, ამქვეყნად მუდმივი ხომ არაფერია! და აი, დაინიშნა კიდეც ეს შეხვედრა, რომელსაც ფართო წინასწარი კომენტარიც მოჰყვა. ტრინიდადი მეტოქეზე გაცილებით უფრო კატეგორიული იყო: „ახლა ჩემი შესაძლებლობების მწვერვალს მივაღწიე. ამიტომ ძალზე მეეჭვება, რომ ეს ბრძოლა დე ლა ჰოიამ „ფეხზე გადაიტანოს". მას 6 რაუნდის შემდეგ ნოკაუტში გავისტუმრებ. ჯერჯერობით ვერც ერთმა მოკრივემ ვერ გაუძლო ჩემს დარტყმებს. დე ლა ჰოია რაღა გამონაკლისია".

განცხადება განცხადებაა, მაგრამ ტრინიდადისათვის მისაღები დახმარების გასაწევად პუერტორიკოში ჩავიდა მისი მატჩების ორგანიზატორი დონ კინგი. „არა მგონია, სადმე იყოს მოკრივე, რომელსაც შეუძლია ტიტოს გაუძლოს ისე, რომ იგი დე ლა ჰოიას ნოკაუტში გაისტუმრებს, ეს ფაქტია. მე სულ სხვა რამ მაინტერესებს. საერთოდ, გამოვა დე ლა ჰოია რინგზე თუ ავადმყოფობას მოიმიზეზებს?"

ასეთი ლაპარაკი უძლეველ მექსიკელზე, რომელსაც გამოჩენილი ოსტატები ჰყავს დამარცხებული, პირდაპირ ვთქვათ, ცოტა უხერხულიც კი იყო, მაგრამ...

მატჩამდე რამდენიმე დღით ადრე ნიუ-იორკში გაიმართა პრეს-კონფერენცია, სადაც ოსკარმა მხოლოდ ეს თქვა: „მე ახლა არაფერს გეტყვით. ყველაფერს ჩემი მუშტები გიჩვენებენ". იმავე პრეს-კონფერენციაზე მოულოდნელი რამ მოხდა: დონ კინგმა დამსწრე საზოგადოებას უჩვენა ხელთათმანი, სადაც ეწერა: „ოსკარს ნოკაუტით მოვუგებ. ტიტო ტრინიდადი".

შედეგი? მატჩი მართლაც ტრინიდადმა მოიგო, მაგრამ საქმე ნოკაუტამდე არ მისულა. ამასთან, დე ლა ჰოიამ, რომლის „წაგებათა გრაფაში" რიცხვი „ერთი" გამოჩნდა, ხაზი გაუსვა უსამართლო მსაჯობას და მეტოქე მატჩ-რევანშში გამოიწვია!

## ტოტო-ლოტო — შედეგები

### 39-ე ტირაჟი 2-3 ოქტომბერი 1999 წ.

**ლოტო 6-42:** 1 12 19 21 23 41

**ჯეკ-პოტი 43 376 ლარი**

| | | | |
|---|---|---|---|
| 6 რიცხვი | 0 × | 43 376,30 ლ. | [illegible] |
| 5 რიცხვი | 0 × | 501,65 ლ. | [illegible] |
| 4 რიცხვი | 27 × | 12,20 ლ. | |
| 3 რიცხვი | 324 × | 1,70 ლ. | |

**სუპერ 7:** 5 9 6 6 7 0 9

**ჯეკ-პოტი 50.000 ლარი**

| | | |
|---|---|---|
| 7 ციფრი | 5966709 | 50 000 ლარი |
| 6 ციფრი | 966709 | 15 000 ლარი |
| 5 ციფრი | 66709 | 5 000 ლარი |
| 4 ციფრი | 6709 | 500 ლარი |
| 3 ციფრი | 709 | 50 ლარი |
| 2 ციფრი | 09 | 3 ლარი |
| 1 ციფრი | 9 | 0.5 ლარი |

**ტოტო-ფეხბურთი**

**12 მატჩი:** X 1 2 1 1 X 1 1 2 2 2 1

**ჯეკ-პოტი 10 905 ლარი**

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 შედეგი | 0 × | 10 905,40 ლ. | [illegible] |
| 11 შედეგი | 0 × | 452,70 ლ. | [illegible] |
| 10 შედეგი | 4 × | 44,70 ლ. | |

**11 მატჩი:** 1 1 1 1 1 1 2 2 0 1 1

**ჯეკ-პოტი 2 220 ლარი**

| | | | |
|---|---|---|---|
| 11 შედეგი | 0 × | 2 220,35 ლ. | [illegible] |
| 10 შედეგი | 2 × | 110,10 ლ. | |
| 9 შედეგი | 31 × | 2,40 ლ. | |

**მე-40 ტირაჟის პროგრამა, 9-10 ოქტომბერი**

| | | |
|---|---|---|
| 1. | [illegible] | 10-20-70 |
| 2. | [illegible] | 30-40-30 |
| 3. | [illegible] | 50-30-20 |
| 4. | [illegible] | 30-30-40 |
| 5. | [illegible] | 40-30-30 |
| 6. | [illegible] | 60-30-10 |
| 7. | [illegible] | 40-40-20 |
| 8. | [illegible] | 70-20-10 |
| 9. | [illegible] | 40-40-20 |
| 10. | [illegible] | 40-30-30 |
| 11. | [illegible] | 50-30-20 |
| 12. | [illegible] | 50-30-20 |

| | | |
|---|---|---|
| 1. | [illegible] | 50-30-20 |
| 2. | [illegible] | 20-30-50 |
| 3. | [illegible] | 80-10-10 |
| 4. | [illegible] | 30-40-30 |
| 5. | [illegible] | 40-30-30 |
| 6. | [illegible] | 10-10-80 |
| 7. | [illegible] | 30-30-40 |
| 8. | [illegible] | 70-20-10 |
| 9. | [illegible] | 20-40-40 |
| 10. | [illegible] | 40-30-30 |
| 11. | [illegible] | 50-30-20 |

მომენტალური ლატარიების „გოლი 98"-ის და „ოლიმპის", ლატარია „ლოტო 6/42"-დან მოუგებელი ბილეთების გათამაშებისას, 31 ოქტომბრის გათამაშებაში მონაწილეობის უფლება და ლატარიის ბილეთების კომპლექტები წილად ხვდათ: ლატარია „ოლიმპში" — თემურ ნატროშვილს- (დედოფლისწყარო), ლევა სეროიანს - (თბილისი). ლატარია „გოლი 98"-ში ზაურ გუგუშვილს- (რუსთავი), მარტიროსიანს. „ლოტო 6-42"-ში (37-ე და 38-ე ტირაჟის მოუგებელი ბილეთები) — 13002 17603 საბურთალო, 57002 47709 რუსთავი. ჩააბარეთ მოუგებელი ბილეთები გამავრცელებელს. გისურვებთ წარმატებას.

## ტერორისტული აქტები გრძელდება

მოსკოვის ახლოს, თავის აგარაკზე მოკლეს რუსეთის თანამედროვე ხუთჭიდის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ლევ მატიუშენკო. თანამედროვე ხუთჭიდში რუსეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელ ალექსეი ხაპლანოვის სიტყვით, გვამი ისეა დამახინჯებული, რომ თვით მეზობლებსაც კი გაუჭირდათ მისი ცნობა. მატიუშენკოს მკვლელებს მისი სახლიდან არაფერი წაუღიათ. აქედან გამომძიებლებს გამოაქვთ დასკვნა, რომ ეს იყო შეკვეთილი მკვლელობა. ამით გაგრძელდა რუსი სპორტული მოღვაწეებისა თუ მათი ოჯახის წევრების მკვლელობების მთელი წყება. ხომ ყველასათვის ცნობილია რუსეთის ჰოკეის ფედერაციის პრეზიდენტ ვალენტინ სიჩისა და ვოლგოგრადის „როტორის" პრეზიდენტ ვლადიმირ გორიუნოვის ვაჟის სიკვდილის ფაქტები.

## რაგბი ● მსოფლიო თასი ● უცნაური შედეგებით...

დაიწყო მსოფლიო თასის გათამაშება რაგბიში. კარდიფის „მილენიუმზის" განახლებულ სტადიონზე პირველ შეხვედრაში უელსელებმა არგენტინელები მიიღეს. თუმცა სტუმრებს გამარჯვების იმედი ჰქონდათ, წარმატება მასპინძლებმა იზეიმეს — 23:18. შოტლანდიაში ფიჯის ნაკრებმა ნამიბიელებს სძლიეს გამანადგურებელი ანგარიშით — 67:18. ირლანდიელებმა ამერიკელებთან ჭიდილში ასევე უჩვეულო ანგარიშით — 53:8 აჯობა მეტოქეს საკუთარ მოედანზე. გათამაშების დებიუტანტებმა ურუგვაიმ და ესპანეთმა ერთმანეთში ითამაშეს და ესპანელები დამარცხდნენ — 15:27. საფრანგეთში კანადელებმა წააგეს — 20:33. ინგლისელებმა, რომლებიც ფავორიტებად ითვლებიან, შინ სტუმრებისთვის სამარცხვინო შედეგით სძლიეს იტალიელებს — 67:7.

გათამაშება ამ თვის ბოლომდე გაგრძელდება.

# «დიდი მუზარადის» თასზე



„დიდი მუზარადის თასზე" მხოლოდ იმ ჩოგბურთელებს იწვევენ, რომლებმაც ბოლო სეზონში წარმატებით ითამაშეს ოთხ ყველაზე უფრო პრინციპულ შეჯიბრებაში – ავსტრალიის, საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების ღია პირველობაზე. მიუნხენში სწორედ ასეთი 16-16 უძლიერესი ოსტატი გამოდიოდა.

ვაჟთა შორის ფინალი, ცოტა არ იყოს, მოულოდნელი გამოდგა. აქ ერთმანეთს შეხვდნენ გრეგ რუსედსკი (ინგლისი), რომელსაც დღეისათვის მსოფლიოში მეექვსე რეიტინგი აქვს და გერმანიის უძლიერესი ჩოგბურთელი ტომი ჰაასი (მსოფლიოში მეთერთმეტე რეიტინგი). მეტად შეუპოვარი მატჩი რუსედსკის გამარჯვებით დასრულდა.

მეტად საინტერესო გამოდგა ფინალი ქალთა შორის, რომელშიც ერთმანეთს შეხვდნენ ამერიკელი დები უილიამსები. მიუხედავად იმისა, რომ უმცროსმა დამ – სერენამ ბრწყინვალედ გაიმარჯვა აგვისტოში აშშ-ს ღია ჩემპიონატში და მსოფლიო რეიტინგში მეოთხე ადგილზე გადავიდა, მისი დის – ვენუს უილიამსის შესაძლებლობებს უფრა მაღლა აფასებდნენ. იგი ამჟამად მსოფლიო რეიტინგში მესამეა. როგორც ჩანს, რეიტინგი გადამწყვეტი არ აღმოჩნდა – სერენა უილიამსმა დაამარცხა ვენუს უილიამსი.

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**5 ოქტომბერი, სამშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** საფეხბურთო მიმოხილვა (12.15). II არხი. სუპერ-მატჩი (21.00), ***იბერია.*** ბურთი და მოედანი (9.15, 20.50), ***კავკასია.*** „ვარსკვლავები" (21.00), ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (12.30), მსოფლიოს სტადიონებზე (19.30), ***НТВ плюс футбол.*** ინგლისის ჩემპიონატი (13.15, მიმოხილვა – 21.50), საფრანგეთის ჩემპიონატი (15.00), ევრო-2000. შესარჩევი მატჩი. რუსეთი-უკრაინა (16.45), იტალიის ჩემპიონატი (17.45), ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა (19.45), გერმანიის ჩემპიონატის მიმოხილვა (20.50), ევრო-2000. შესარჩევი მატჩი. შოტლანდია-ბოსნია (23.55), ***НТВ плюс спорт.*** ჩოგბურთი. „დიდი მუზარადის" თასი (15.25). ***ESPN.*** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა: შტურმი – კროაცია (3.00), ფეიენოორდი – ბოავიშტა (11.00), ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (15.30). ***EUROSPORT.*** ველოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი საგზატკეცილო რბოლაში (14.00, 18.00), ფეხბურთი. ევროგოლები (16.00), აერობიკა. ევროპის ჩემპიონატი, ესპანეთიდან (20.00).

**6 ოქტომბერი, ოთხშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. II არხი.*** რაგბის მოყვარულთათვის (21.00), ***იბერია.*** ბურთი და მოედანი (9.15, 20.50), ***კავკასია.*** „ვარსკვლავები" (21.00). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (12.30), მსოფლიოს სტადიონებზე (19.30), ***OPT(1).*** ფეხბურთი. ამხანაგური საერთაშორისო მატჩი: რუსეთი-გერმანია (19.55), ***НТВ плюс футбол.*** გერმანიის ჩემპიონატის მიმოხილვა (13,15), ევრო-2000. შესარჩევი მატჩი: შოტლანდია – ბოსნია (14.15), ეროვნული ჩემპიონატების მიმოხილვა: ესპანეთის (15.55), ინგლისის (18.05), იტალიის (21.10), ბრაზილიის (0.35), ***НТВ плюс спорт.*** ჩოგბურთი. „დიდი მუზარადის" თასი (17.10, 23.00), ტრიატლონი. მსოფლიოს თასი (20.40) ***ESPN.*** ჩოგბურთი. „დიდი მუზარადის" თასი (11.00, ვაჟთა ნახევარფინალები, ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. ევროგოლები (11.30), მოტორბოლა. მსოფლიოს ჩემპიონატი (13.00, 3.00, 4.00), ცხენოსნობა. ეროვნებათა თასი, საბერძნეთიდან (15.30), ველოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი საგზატკეცილო რბოლაში (17.00, იტალიიდან), რაგბი. მსოფლიოს თასი (2.00).

**7 ოქტომბერი, ხუთშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. იბერია.*** ბურთი და მოედანი (9.15, 21.00), ***კავკასია.*** „ვარსკვლავები" (21.00). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (12.30), მსოფლიოს სტადიონებზე (19.30), ***ევროკა.*** ფეხბურთის ლეგენდები (21.35), ***НТВ плюс футбол.*** ეროვნული ჩემპიონატები: ბრაზილიიდან (13.15), იტალიიდან (15.00), ჰოლანდიიდან (19.10), რუსეთიდან (20.55), ევროპის საფეხბურთო კვირეული (22.55). ***НТВ плюс спорт.*** ტრიატლონი (13.00, მსოფლიოს თასი), ბადმინტონი. მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი (17.45), ჩოგბურთი. „დიდი მუზარადის" თასი (23.00). ***ESPN.*** ფეხბურთი. იტალიის ლიგის მიმოხილვა (3.30), ჩოგბურთი. „დიდი მუზარადის" თასი (11.00), ინგლისის საფეხბურთო მიმოხილვა (16.00). ***EUROSPORT.*** რაგბი. მსოფლიოს თასი (17.00), ძიუდო. მსოფლიოს ჩემპიონატი. გადაცემა ინგლისიდან (1.30).

**საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობს ამავე დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეს მურთაზ მნათობიშვილს მამის ალექსანდრე მნათობიშვილის გარდაცვალების გამო.**

**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი სამძიმარს უცხადებს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეს მურთაზ მნათობიშვილს მამის გარდაცვალების გამო.**

**თბილისის მერიის სპორტის სამმართველო თანაუგრძნობს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეს მურთაზ მნათობიშვილს მამის გარდაცვალების გამო.**

**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თბილისის რეგიონული ორგანიზაცია თანაგრძნობას უცხადებს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეს მურთაზ მნათობიშვილს მამის გარდაცვალების გამო.**

**აფხაზეთის სპორტკომიტეტი თანაუგრძნობს საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეს მურთაზ მნათობიშვილს მამის გარდაცვალების გამო.**

**საქართველოს მოჭიდავეთა საზოგადოება „რაინდი" თანაგრძნობას უცხადებს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეს მურთაზ მნათობიშვილს მამის გარდაცვალების გამო.**

**პროფკავშირული სპორტსაზოგადოება „შევარდენის" საქართველოს საბჭო ღრმა სამძიმარს უცხადებს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეს მურთაზ მნათობიშვილს მამის გარდაცვალების გამო.**

**საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია თანაგრძნობას უცხადებს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეს მურთაზ მნათობიშვილს მამის გარდაცვალების გამო.**

**საქართველოს ნიჩბოსნობის ეროვნული ფედერაცია თანაუგრძნობს, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეს მურთაზ მნათობიშვილს მამის გარდაცვალების გამო.**

**მცხეთა-მთიანეთის მხარისა და მცხეთის რაიონის სპორტკომიტეტები თანაუგრძნობენ, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეს მურთაზ მნათობიშვილს მამის გარდაცვალების გამო.**

**სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივის" საქართველოს საბჭო თანაგრძნობას უცხადებს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეს მურთაზ მნათობიშვილს მამის გარდაცვალებისი გამო.**

**საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო ინსტიტუტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის 60-იანი წლების კურსდამთავრებულები თანაუგრძნობენ თანაკურსელს მურთაზ მნათობიშვილს მამის გარდაცვალების გამო.**

**გაზეთ „ლელოს" რედაქცია იზიარებს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის მურთაზ მნათობიშვილის ღრმა მწუხარებას მამის გარდაცვალების გამო.**

პანაშვიდი 5 და 6 X. დაკრძალვა 7. X. თბილისი, თამარაშვილის, 11.

## კროსვორდი

**თარაზულად:** 1. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი, 8. მორბენლებით განთქმული ქვეყანა აფრიკაში, 9. ქუთაისის მორაგბეთა გუნდი, 11. სასროლეთი. 12. „იუვენტუსის" ფეხბურთელი, 13. ძალოსნური ორჭიდის შემადგენელი პროგრამა, 16. საყრდენი, რაზედაც გადებულია თამასა. 17. იტალიის ნაკრების წევრი — ფეხბურთელი, 18. ბრაზილიის საფეხბურთო კლუბი, 20. კვიპროსის საფეხბურთო კლუბი, 21. ამერიკელი პროფესიონალი ჰოკეისტი, 22. ფეხბურთელი — იაპონიის ნაკრების წევრი, 23. ქვეყანა, სადაც გაიმართება მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატი ფეხბურთში, 27. კავბოების ქამანდი. 29. პორტუგალიის საფეხბურთო გუნდი, 31. მსოფლიოს ჩემპიონი ქვეყანა ფეხბურთში, 33. გერმანიის საფეხბურთო კლუბი, 34. კრივში და. ფარიკაობაში თავისუფალი სავარჯიშო ბრძოლა, 35. ნარნარი ფრენა, 36. საფეხბურთო სკოლა თბილისში.

**შვეულად:** 2. საქართველოს საფეხბურთო კლუბი, 3. მოჭადრაკე კრამლინგის სახელი, 4. ცნობილი ვაჟი ჩოგბურთელი, 5. ავიაკატასტროფაში დაღუპული უზბეკი ფეხბურთელი. 6. საბერძნეთის საფეხბურთო კლუბი, 7. უკრაინის საფეხბურთო კლუბი, 8. სარბოლო მანქანა, 10. ერთ-ერთი სპორტული სარბიელი, 14. თბილისის დინამოს არაქართველი ფეხბურთელი, 15. იტალიის საფეხბურთო კლუბი, 19. კალათბურთში სამიზნე, 22. ცნობილი ესპანელი ფეხბურთელი, 24. სპორტული ნაწარმის ცნობილი ფირმა, 25. რუსეთის საფეხბურთო კლუბი, 26. ჩეხეთის საფეხბურთო კლუბი. 28. ვეტერანი უკრაინელი ფეხბურთელი. 30. აღმოსავლური ორთაბრძოლა, 32. საქართველოს საფეხბურთო კლუბი.



**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 1. ფრანჩესკოლი. 3-5. მეტიუზი. 7-9. გივარში. 10. ნიგერია. 13-14. ბალაში. 15. ალანია. 18-19. ბრუმელი. 19. იფსვიჩი. 20. ფარკაში. 21-22. ანალიზი. 25. პოლსტერი. 29-32. აზარიანი. 35-36. მონტერო. 39. ირიარტე. 43-44. ტაფარელი. 45. დალგლიში. 48-49. მიკადო. 50. სავონი. 51-52. კორბუტი. 56. პიტერსი. 57. რურუა. 59-60. ხოლმოვი. 62. კრიკეტი. 64. ბასბი. 66-67. პუშკაში. 71. სატურნი. 72-73. ბასტია. 74. არტიმე. 76-77. ბერთოლდი. 78. ბლანტერი. 83-74. დრონოვა. 87. ისალდე. 90. ხარბედია. 94-97. ტრეტიაკი. 100. მაჩაიძე. 101-102. პეიტონი. 103-104. ხერხაძე. 104. ედბერგი. 107-108. ორძელი. 109. ბუცაკი. 110-112. ხალისკო. 113. ქეცბაია. 115-117 გუდაური. 118. მაზურკევიჩი. **შვეულად:** 4. იარნი. 6-40. იარიგინი. 12-42. პიკადორი. 41-54. ირანი. 69. იპონი. 80. ბოლივარი. 82. პლანიჩკა. 104-116. ერერა. **დიაგონალურად:** 1-19 ფიშერი. 19-2. იაშინი. 27-4 სკუტერი. 4-30. იაშვილი. 23-8. აგუაში. 11-34. ილიადი. 8-41. იაკუშინი. 41-11. ივანიცკი. 24-14 ილინი. 15-33. ამორო. 43-16. ტანდემი. 17-46. კონორსი. 23-53 ანდრადე. 55-34. კალგარი. 26-61. ლატინინა. 61-31. არკონადა. 27-54. სოლინგი. 54-30. ილგნერი. 59-28. ხერგიანი. 28-63. ივანჩუკი. 36-60. ორეგონი. 62-39. კორჩნოი. 37-47. ვავა. 47-38 არაუ. 57-36. რომარიო. 39-65. ინგლისი. 43-58. ტომბა. 64-46. ბეილი. 57-84. რუბცოვა. 87-65. იანსენი. 76-58. ბუბკა. 64-79. ბუერი. 59-93. ხაბარელი. 93-63. ინსბრუკი. 88-68. ბოლონია. 70-99. კრანკლი. 84-60. ალდაირი. 62-87. კაბრინი. 91-61. რედაქცია. 61-96. ასპრილია. 92-69. ბობროვი. 69-95. ირიბარი. 85-75. ლელო. 75-86. ორსი. 76-105. ბლოხინი. 106-79. რუდოლფი. 88-111. ბიკილა. 114-99. იურანი. 89-108. ლახტი. 109-98. ბურდა. 111-81. ამორძალი. 81-114. ინტერესი. 92-116. ბარქაია. 116-95. ალბერტი. 118-104. მეკარე. 104-119. ელბერი.

## საჭადრაკო ამოცანა

ოთარ მამულაშვილი

სოფ. ქარდენახი



**შამათი 2 სვლაში**

**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:**

1. ეg6!
1. ...მფ:c6 2. მფe5X.
1. ...მფ:d4 2. მფe6X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: ძაბული წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე